


ಅಂತರಾಷ್ಟ್ರೀಯ ಮಹಿಳಾ ವರ್ಷ

ಮಾರ್ಚ್ ೮ ವಿಶ್ವಮಹಿಳಾ ದಿನಾಚರಣೆ

ಮಹಿಳೆಯರ ಸಮಾನತೆ, ಅಭಿವೃದ್ಧಿ ಮತ್ತು ಶಾಂತಿಗಾಗಿ ಇಡೀ ವಿಶ್ವದಲ್ಲಿ ಆಚರಿಸಲ್ಪಡುತ್ತಿರುವ ಈ ವರ್ಷದ ಅಂತರಾಷ್ಟ್ರೀಯ ಮಹಿಳಾ ವರ್ಷವು ಮಹಿಳೆಯರ ಸಮಾನತೆಯ ಹಕ್ಕಿನ ಬಗ್ಗೆ ಮತ್ತು ಅಭಿವೃದ್ಧಿಯ ಕಾರ್ಯಕ್ರಮಗಳಲ್ಲಿ ಅವರ ಪಾಲ್ಗೊಳ್ಳುವಿಕೆಯ ಬಗ್ಗೆ ಜಗತ್ತಿನ ಗಮನವನ್ನು ಸೆಳೆಯುವ ಪ್ರಯತ್ನವಾಗಿದೆ. ಮಹಿಳೆಯರ ಸಮಾನತೆಯ ಹಕ್ಕಿನ

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის იმ მოწინავეთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, რომლებმაც უველაზე მეტად ისახელეს თავი 1973 წელს მარცვლეულის, ჩაის ფოთლისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დარგში

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული დიდი წარმატებებისა და 1973 წელს მარცვლეულის, ჩაის ფოთლისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის **დარგში ნაგსსრ** სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში შრომითი მამაცობის გამოჩენისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს medali **„ნამგალი და ჩურო“:**

ვოუბას ალექსანდრა ჭიჭიკოს ასულს — აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეს.

გოლიჯაშვილს არსენ ზაქარიას ძეს — გორის რაიონის ბერბუკის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს.

გორგაძეს ელენე იოსების ასულს — ლაგოდეხის რაიონის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოეს.

კოკოზაშვილს სევასტი ნიკოლოზის ძეს — ქარელის რაიონის ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშას.

ფიროსმანაშვილს ივანე ალექსანდრეს ძეს — წითელწყაროს რაიონის ქედანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

ჭადიეშვილს გუგული ალექსანდრეს ასულს — მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეს.

ჯინჭარაძეს ნადია მურადის ასულს — აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკის კოლმეურნეობის მეჩაიეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1973 წ. 12 დეკემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის სახალხო არტისტის, კომპოზიტორ ა. ი. ხაჩატურიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი **არამ ილიას ძე ხაჩატურიანი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1973 წლის 11 დეკემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბინაო მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1973 წლის 29 ნოემბერი.

წლიწარი გეგმა ვადამდე

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს: მათ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის პროდუქციის რეალიზაციის გეგმა მთლიანად საქართველოში შეასრულეს უკვე ამ წლის 21 დეკემბრისათვის.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი რუსთავის ცემენტის ქარხნის, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის, „ელექტროიზოლიტის“, კონიაკის, შამპანური ღვინოებისა და სხვა ქარხნების კოლექტივებმა.


□

საგზოთა მსახიობების წარმატება

ანკარა, 22 დეკემბერი. აქ დამთავრდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის (ხელმძღვანელები: სსრ კავშირის სახალხო არტისტები ი. სუხიშვილი და ნ. რამიშვილი) გასტროლები. „ქართული ანსამბლის ოსტატობა საოცრად ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“, „არაჩვეულებრივი პროფესიონალიზმი, ეროვნული ხელოვნებისა და თანამედროვე სტილის საუცხოო შეხამება ქართული ანსამბლის განმასხვავებელი ნიშნებია“ — ასეთია ზოგიერთი აღფრთოვანებული შეფასება, რომლებიც გამოაქვეყნეს ადგილობრივმა გაზეთებმა თურქეთში ამ სახელგანთქმული დასის ერთი თვის გასტროლების დროს.


ეხლა, როცა გასტროლები დამთავრდა და მსახიობები სამშობლოში გაემგზავრნენ, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მათმა კონცერტებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს საბჭოთა ხელოვნების მსოფლიო სახელი. ქართველი არტისტების კონცერტებზე მოხვედრა იმდენ ხალხს სურდა, რომ მათ მოუხდათ თითქმის ყოველდღე გაემართათ ორ-ორი კონცერტი სტამბოლისა და ანკარის უდიდეს დარბაზებში.

„სოიუზ-13“, ფრენა დამთავრდა



პეტრე ილიას-ძე კლიმუკი

დიდება კოსმოსის გმირებს!



ვალენტინ ვიტალის-ძე ლებედევი

1973 წლის 26 დეკემბერს ხომალდ „სოიუზ-13“-ში სამუშაოთა დამთავრების შემდეგ ამხანაგები პეტრე ილიას ძე კლიმუკი და ვალენტინ ვიტალის ძე ლებედევი დედამიწაზე დაბრუნდნენ. 11 საათსა და 50 წუთზე მოსკოვის დროით კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-13“-ის დასაშვები აპარატი რბილად დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ქალაქ უარაგანდის სამხრეთ-დასავლეთით 200 კილომეტრზე.

სამედიცინო გამოკვლევამ ცხადყო, რომ დაშვების შემდეგ კოსმონავტები თავს ჯანმრთელად გრძნობენ.

რვა დღე-ღამის ორბიტული ფრენის დროს მოეწყო სხვადასხვაგვარი სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევები და ექსპერიმენტები.

ტელესკოპების „ორიონ-2“ სისტემის მეშვეობით მიღებულია სხვადასხვა თანავარსკვლავედის ვარსკვლავთა ულტრაიისფერი დიაპაზონის სპექტოგრამები.

ფრენის დროს მოეწყო დედამიწის ზედაპირის არეების სპექტროგრაფირება და მრავალზონალური გადაღება იმ მიზნით, რომ შეესწავლათ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი წარმონაქმნები სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის.

სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის პროგრამის შესაბამისად აპარატურა „ლევკოის“ გამოყენებით სწავლობდნენ თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის თავისებურებებს ადაპტაციის პერიოდის სხვადასხვა სტადიაში. უწონობის პირობებში სისტემა „ოაზის-2“-ის მეშვეობით ხდებოდა ცილოვანი ბიომასის მიღების შესაძლებლობის გამოკვლევა.

მეცნიერული ექსპერიმენტების შესრულებისას იხვეწებოდა ორიენტაციის ხელსაწყოები და მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტელესკოპების დამიზნების მაღალ სიზუსტეს.

ფრენის უველა ეტაპზე ხომალდ „სოიუზ-13“-ის სისტემები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობდა.

ხომალდის ფრენას საიმედოდ უზრუნველყოფდნენ დედამიწის საკომანდო-საზომი კომპლექსის საშუალებანი, რომელშიც შედიოდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განლაგებული საზომი პუნქტები და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი გემებში. ამჟამად ამუშავებენ და სწავლობენ ფრენის დროს მიღებულ მონაცემებს.

პეტრე ილიას ძე კლიმუკი

პეტრე ილიას ძე კლიმუკი დაიბადა 1942 წელს ბრესტის ოლქის ბრესტის რაიონის სოფელ კომაროვკაში.

1964 წელს ჩერნიგოვის უმაღლესი სამხედრო-საავიაციო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა სამხედრო-საჰაერო ძალებში.

სამსახურის დროს პ. ი. კლიმუკმა თავი გამოიჩინა როგორც ჩინებულმა მფრინავმა, აითვისა რამდენიმე ტიპის თვითმფრინავი.

1963 წელს იგი მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში.

კოსმონავტთა რაზმში პ. ი. კლიმუკი ჩაირიცხა 1965 წელს. მან გაიარა სხვადასხვა პილოტირებული აპარატით კოსმოსური ფრენისათვის მზადების სრული კურსი. 1973 წლიდან პ. ი. კლიმუკი ი. ა. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის მსმენელია.

კოსმონავტის ცოლი — ლიდია ვლადიმერის ასული სწავლობს მოსკოვის ი. მ. სეჩენოვის სახელობის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში. მათ ჰყავთ ხუთი წლის შვილი მიხეილი.

კოსმონავტის მამა დიდი სამამულო ომის დროს დაიღუპა, დედა — მართა პავლეს ასული ცხოვრობს ბრესტის ოლქის სოფელ კომაროვკაში.

ვალენტინ ვიტალის ძე ლებედევი

ვალენტინ ვიტალის ძე ლებედევი დაიბადა 1942 წელს მოსკოვში.

1960-1966 წლებში სწავლობდა მოსკოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავიაციო ინსტიტუტში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვ. ვ. ლებედევი მუშაობდა საკონსტრუქტორო ბიუროში, სადაც თავი გამოიჩინა როგორც ერუდირებულმა და ინიციატივიანმა ინჟინერმა. იგი აქტიურად მონაწილეობდა კოსმოსური აპარატების ახალ სისტემათა შემუშავებასა და გამოცდაში, ეწეოდა საგამომგონებლო საქმიანობას, აქვს რამდენიმე საავტორო მოწმობა.

1971 წელს ვ. ვ. ლებედევი მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში.

კოსმონავტთა რაზმში ვ. ვ. ლებედევი ჩაირიცხა 1972 წელს, გაიარა კოსმოსური ფრენისათვის მზადების სრული კურსი. ვალენტინ ლებედევი მისდევს საავიაციო სპორტს, აქვს პირველი სპორტული თანრიგი.

კოსმონავტის ცოლი — ლიუდმილა ვიტალის ასული ინჟინერად მუშაობს საკონსტრუქტორო ბიუროში, მათი შვილი — ვიტალი ერთი წლისაა.

კოსმონავტის მამა — ვიტალი ვლადიმერის ძე გარდაიცვალა 1968 წელს. დედა — ანტონინა თეოდორეს ასული მოსკოვის ოლქში ცხოვრობს.

ხომალდი „გიორგი ლეონიძე“

რეიდზე თეთრად მოქათქათე ვეებერთელა ხომალდი დგას. იგი შორიდანვე იტაცებს თვალს, გემი რიგს ელოდება, რომ სატვირთო ნავსადგურში ჩამოდგეს. გაშლილ ზღვაში იგი სხვებისაგან სიახლითა და მიმზიდველობით გამოირჩევა. კატერით რომ მივუახლოვდით, მის ქიმზე გამოკვეთა ვერცხლისფერი წარწერა „გიორგი ლეონიძე“.

ამ სიტყვებმა მყის მოგონებებით აგვავსო, თვალწინ წარმოგვიდგა ქართული პოეზიის დიდება — „ჩვენი გოგლა“, გაგვახსენდა ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექსი „ამხანაგ ნეტეს — ხომალდსა და ადამიანს“...

ხიდურ კიბეზე ფეხი რომ შევდგით, ისეთი გრძნობა დაგვეუფლა, თითქოს დიდებულ პოეტს ოჯახში ველოდით და საცაა თვითონაც შემოგვეგებებოდა; ხომალდზე მართლაც სუფევდა ლეონიძეების ოჯახური ატმოსფერო — მისი ეკიპაჟის გასაცხობად თბილისიდან ჩამოვიდნენ გიორგი ლეონიძის ქალიშვილები ნესტანი და თინათინი, პოეტის შვილიშვილები, აქვე იყვნენ თბილისელი სტუმრები ოისებ ნონეშვილი და ილია რურუა, ბათუმელი პოეტი ნესტორ მალაზონია, ეკონალ „ჭოროხის“ რედაქტორი ა. შონია, საქართველოს სანაოსნოს უფროსი ა. კაჭარავა, სანაოსნოს პარტიული კომიტეტის მდივანი ბ. მახარაძე და სხვები. მრავალრიცხოვან სტუმრებს მასპინძლობდნენ გემის კაპიტანი ზურაბ პატარაძე და კაპიტნის პირველი თანაშემწე პოეტი ფრიდონ ხალვაში, დიახ, ფრიდონმა გადაწყვეტა მეზღვაური გამხდარიყო სწორედ ამ გემზე, რომელიც მისი უფროსი მეგობრის — გიორგი ლეონიძის სახელს ატარებს.

ხომალდების დიდ ოჯახს — „ნიკო ნიკოლაძეს“, „გენერალ ლესელიძეს“, „თბილისს“, „ფოთს“, „გორს“, „ახალციხესა“ და მრავალ სხვას, რომლებიც მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებში საქართველოს ალმით დაცურავენ, შეემატა რიგით ორმოცდამეერთე გემი „გიორგი ლეონიძე“.

... იგი მშრალი ტვირთის ხომალდია, მისი სიგრძე 200 მეტრია, სიგანე — 25 მეტრი, სიჩქარე — საათში 28 საზღვაო კვანძი, ტვირთამწეობა 20 ათას ტონაზე მეტი, გემი ააგეს პოლონეთის ქალაქ შჩეცინში. მასზე 5 ოქტომბერს აფრიალდა ჩვენი ქვეყნის დროშა; გამოცდა წარმატებით ჩაბარა — შემოუარა ევროპას და 10 დეკემბერს ღუზა ჩაუშვა სამაზრო ნავსადგურ ბათუმში. მისი კაპიტანია ბათუმის საზღვაო სასწავლებლის აღზრდილი ზურაბ პატარაძე, ხომალდი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით — მოხერხებული კაიუტები, კინოდარბაზი, სპორტდარბაზი, ბიბლიოთეკა, აუზი და სხვ.

ხომალდზე საზეიმო ვითარებაში მოხდა სტუმრებისა და მასპინძლების შეხვედრა. სიტყვები წარმოთქვეს ი. ნონეშვილმა, ი. რურუამ, ფრ. ხალვაშმა, გიორგი ლეონიძის ოჯახმა ხომალდის ეკიპაჟს საჩუქრად გადასცა პოეტის ნაწარმოებთა გამოცემები.

მადანმზიდი მალე აიღებს კურსს იაპონიისაკენ.

მშვიდობიან ცურვას ვუსურვებთ „გიორგი ლეონიძესა“ და მის ეკიპაჟს.

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

1973 წელი — მეცხრე ხუთწლედის გადამწყვეტი წელი ბრწყინვალე ფურცლად შევა ჩვენი სამშობლოს გმირულ მატიანეში, როგორც დამკვრელური შრომის წელი. საქართველოს ყველა მშრომელი სავსებით უჭერს მხარს და იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის და მისი პოლიტბიუროს ლენინურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, მაღალ შეფასებას აძლევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის უდიდეს პირად წვლილს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში, მის დაუცხრომელ მეცადინეობას საბჭოთა ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

შრომითი ენთუზიაზმისა და ჩვენი სამშობლოს წარმატებებისათვის სიამაყის ვითარებაში შეიკრიბნენ 19 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა სრულუფლებიანი წარმომადგენლები.

მუშაობას იწყებს საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი ი. ბ. აბაშიძე, თავმჯდომარის მოადგილეები, დეპუტატები ბ. ნ. გრიგალაშვილი, შ. მ. შაკაია, ლ. ა. ხოზრევანიძე, ა. კ. ხუგაევი.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები ბ. გ. გიგიბერია, პ. გ. გილაშვილი, შ. დ. კიკნაძე, ზ. ა. პატარიძე, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ა. ნ. ჩურკინი, გ. ს. ძოწენიძე, გ. დ. ჭავახიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, შ. ვ. ყარყარაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და მთავრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა ი. ბ. აბაშიძემ, რომლის წინადადებით სესიამ ფეხზე ადგომით პატივი დასდო დეპუტატ-აკადემიკოსის გიორგი წერეთლის ხსოვნას.

უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ დ. დ. მაღალაშვილის მოხსენება გამოკლებულის ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახლად არჩეული დეპუტატის რწმუნებათა სამანდატო კომისიის მიერ შემოწმების შესახებ.

მტკიცდება სესიის მუშაობის დღის წესრიგი. დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმა.

2. საქართველოს სსრ 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

სიტყვა მოხსენებისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეს, დეპუტატ ე. მ. ჯაფარიძეს.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება „საქართველოს სსრ 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა, დეპუტატმა ფ. ა. ანანიაშვილმა.

დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების თანამოხსენება, რომელიც გააკეთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ზ. ა. პატარიძემ.

მოხსენებისა და თანამოხსენების გამო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ი. ნ. ვეკუა, დეპუტატები ბ. ვ. შინკუბა (ოჩამჩირის რაიონის ოჩამჩირის პირველი საარჩევნო ოლქი), მ. მ. დანელია (ქალაქ თბილისის კლარა ცეტკინის საარჩევნო ოლქი), ა. ა. კაჭარავა (ქალაქ ბათუმის ფრუნზეს საარჩევნო ოლქი), ჯ. ი. პატიაშვილი (ლანჩხუთის რაიონის ლანჩხუთის საარჩევნო ოლქი), სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ი. მარდანოვი, დეპუტატები მ. ა. მეგრელიშვილი (სამტრედიის რაიონის კულაშის საარჩევნო ოლქი), ტ. ფ. ცურუპა (ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის ლესელიძის საარჩევნო ოლქი), ნ. ტ. გაფრინდაშვილი (ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სტუდენტთა საარჩევნო ოლქი), დ. ა. გვრიტიშვილი (ქალაქ რუსთავის ლენინის საარჩევნო ოლქი), ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ი. კუტალია, დეპუტატები ც. ბ. ჩიგოგიძე (ჩოხატაურის რაიონის ჩოხატაურის საარჩევნო ოლქი), ნ. პ. მამაიაშვილი (წითელწყაროს რაიონის არბოშიკის საარჩევნო ოლქი), ზ. ა. ჩხეიძე (ქალაქ რუსთავის ქიმიკოსთა საარჩევნო ოლქი), კ. ნ. მდივანი (ზესტაფონის რაიონის ლენინის საარჩევნო ოლქი), მ. ა. მეზვრიშვილი (თელავის რაიონის ნაფარეულის საარჩევნო ოლქი), ა. გ. ყანჩელი (ქალაქ ჭუთაისის წერეთლის საარჩევნო ოლქი).

დეპუტატებმა დაწვრილებით, საქმიანად განიხილეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა და ბიუჯეტი, ამასთან აღნიშნეს, რომ ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმა და ბიუჯეტი ახალი დიდი წვლილი იქნება ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში.

დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის, დეპუტატ ე. მ. ჯაფარიძის საბოლოო სიტყვა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ მოხსენების გამო.

სესიამ ერთხმად მიიღო კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

შემდეგ საბოლოო სიტყვა „საქართველოს სსრ 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ მოხსენების გამო წარმოთქვა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა, დეპუტატმა ფ. ა. ანანიაშვილმა.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი საქართველოს სსრ 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და დაამტკიცა საქართველოს სსრ 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა მოხსენება სესიებს შუა პერიოდში მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომელიც გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა, დეპუტატმა ზ. ა. კვაჭაძემ.

დეპუტატებმა ერთხმად დაამტკიცეს სესიებს შუა პერიოდში მიღებული და უმაღლესი საბჭოს მიერ დასამტკიცებელი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, მიიღეს შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

ამით საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ მუშაობა დაამთავრა.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმა.

მუხლი 2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

	(მატება პროცენტობით 1973 წელთან შედარებით)
წარმოებული ეროვნული შემოსავალი	7,8 პროცენტით
მრეწველობის პროდუქცია	9 პროცენტით
სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობის იმ დარგებში, რომლებისთვისაც სახსრები გამოყოფა უშუალოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს	5 პროცენტით
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა	0,6 პროცენტით
ხელფასის ფონდი რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში	5,8 პროცენტით
მოგება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების სამრეწველო საქმიანობიდან	13,5 პროცენტით
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა	9,5 პროცენტით

მუხლი 3. გადიდდეს 1974 წელს 1973 წელთან შედარებით:

რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	5 პროცენტით
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება	10,4 პროცენტით
ბავშვთა რიცხვი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სკოლამდელთა დაწესებულებებში	3 პროცენტით
მოსწავლეთა რიცხვი გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში	11,3 პროცენტით
მოსწავლეთა მიღება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში	6,2 პროცენტით
სტუდენტთა მიღება უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებებზე	6 პროცენტით
საავადმყოფო საწოლების რაოდენობა	2,9 პროცენტით

მუხლი 4. უზრუნველყოფილ იქნას 1974 წელს საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში — 839 ათასი კვადრატული მეტრი.

მუხლი 5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წელს განახორციელოს ღონისძიებანი მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებისა და „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად.

მუხლი 6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების დასკვნებში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ ჩამოყალიბებული წინადადებანი და შენიშვნები, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები, და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1973 წლის 19 დეკემბერი.

საქალაქო საბჭოს მეოთხე სესია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების XIV მოწვევის საქალაქო საბჭოს მეოთხე სესია.

სესია გახსნა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ბ. ლობჟანიძემ. სესიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი გ. მარუაშვილი, მდივნად — დეპუტატი თ. ზეიკიძე.

სიტყვა ეძლევა საქალაქო საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს, დეპუტატ ნ. კომახიძეს. მან აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების 120-ე მუხლის შესაბამისად გასული დეპუტატების ნაცვლად კვირას, 1973 წლის 23 დეკემბერს №№ 209, 364 და 380 საარჩევნო ოლქებში მოიწყო ახალი დეპუტატების არჩევნები.

სესიამ ცნო 1973 წლის 23 დეკემბერს არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატების ალექსანდრე ევგენის ძე კანდელაკის (№ 209 საარჩევნო ოლქი), თამაზ ვლადიმერის ძე თევზაძის (№ 364 საარჩევნო ოლქი) და აბესალომ იოსების ძე ყურაშვილის (№ 380 საარჩევნო ოლქი) რწმუნებანი.

სესიამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1. თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარების 1974 წლის გეგმის პროექტის შესახებ.

2. ქ. თბილისის 1974 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 1972 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, დეპუტატი ბ. ლობჟანიძე, მეორე საკითხზე — საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე, დეპუტატი კ. სოხაძე, თანამოხსენება გააკეთა საქალაქო საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა მ. ჩიქობავამ.

შემდეგ გაიმართა კამათი მოხსენებებისა და თანამოხსენების გარშემო. სესიამ დაამტკიცა თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარების 1974 წლის გეგმა, 1974 წლის ბიუჯეტი და 1972 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.


თბილისური ელმავალი



სოციალისტური შრომის გმირი ვასილ პაპინაშვილი

...დიდი, ღონიერი ორთქლმავალი ხანში შედიოდა, დრო მოჭამა. ქვეყანას სჭირდებოდა სწრაფი და ძლიერი ელმავლები...

საბჭოთა კავშირში პირველად სურამის უღელტეხილზე განხორციელდა მაგისტრალური რკინიგზების ელექტრიფიკაცია. ეს იყო ხაშურ-ზესტაფონის მონაკვეთი. 1932 წელს იტალიიდან და ამერიკის



შეერთებული შტატებიდან ორ-ორი ელმავალი შემოიტანეს. კაპიტალისტური ქვეყნების მანქანებს იქაური სპეციალისტები ჩამოჰყვნენ.

„დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს!“ — წაიკითხეს თურმე იტალიელმა სპეციალისტებმა ახალგაზრდა სოციალისტური ქვეყნის მშრომელთა დევიზი და ჩაიცინეს.

დღეს იმ ღიმილის საპასუხოდ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სწორედ საქართველოში, თბილისში, აწყობენ თანამედროვე საბჭოთა ელმავლებს და იმდენს, რომ ჩვენებური რკინიგზის რაშები აღემატებიან საფრანგეთისა და ბელგიის ერთად გამოშვებულ ელმავლებს. დღეს თბილისური მარკით უფრო მეტი ელმავალი გამოდის, ვიდრე იტალიურით.

დღევანდელი ელმავალსაშენებელი ქარხნის წინაპრად თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა ითვლება. ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა კი მაშინ დაარსდა, როცა ამიერკავკასიაში რკინიგზის პირველი მაგისტრალები დაიგო.

თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანას დიდი რევოლუციური წარსული ჰქონდა. აქ შრომობდნენ ცნობილი რევოლუციონერები. სწორედ ნაძალადევის მუშებმა ითავეს გასძღოლოდნენ საქართველოს მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას ახალი გზით — ლენინის გზით.

ელმავალსაშენებელი ქარხანა 1942 წელს შენდებოდა, მაშინ, როცა მძვინვარებდა დიდი სამამულო ომი. ქვეყანას თანამედროვე ელმავლები სჭირდებოდა. ავჭალის უკაცრიელ ადგილზე შენდებოდა ქარხანა და ომის დღეებში მისი საძირკველი მომავლის იმედსაც უმტკიცებდა მშრომელებს. მოგვიანებით, 1949 წელს, როცა მშენებლობაზე მიღეს 600-ვოლტიანი მაღალი ძაბვის დენი, საქმე უკეთ წავიდა.

ქარხანა რომ მზად იყო, ამუშავდა 15 ძირითადი და დამხმარე საამქრო, ქართველი ახალგაზრდა სპეციალისტები ცოდნის გასაღრმავებლად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში მიავლინეს, თანამედროვე ლოკომოტივების აწყობას ნოვოჩერკასკში სწავლობდნენ.

1957 წელს ელმავალშემკეთებელი ქარხანა ელმავალსაშენებელ ქარხანად გადაკეთდა. თბილისელ ელმავალმშენებლებს იმავე წელს უნდა შეეყენებინათ ფოლადის რელსებზე 5700 ცხენისძალიანი მაგისტრალური ელმავალი „ნ-8“ და 1957 წლის 30 დეკემბერს, ძველისა და ახალი წლის მიჯნაზე ქართველ მშრომელთ ბედნიერებისა და კეთილდღეობის მეკვლედ თბილისური ელმავალიც ეწვია. პირველი ელმავალი, რომელიც 3650 ტონიან შემადგენლობას მიუძღოდა, გამოცდილ მემანქანეს ვასილ ბერუაშვილს მიჰყავდა. ელმავალმა გამოცდა ფრიადზე ჩააბარა. ქართველმა ოსტატებმა თავიანთი სიტყვა შეასრულეს. ოცდახუთი წლის წინათ, როცა სურამის უღელტეხილზე უცხოური ელმავლები გამოჩნდნენ, ალბათ, ვერავინ იფიქრებდა, რომ სწორედ საქართველო გადაიქცეოდა სამამულო ელმავლის სამშობლოდ.

...მეორე წელს უკვე ოთხი ელმავალი აიწყო თბილისში, მერე და მერე უფრო იმარჯვებს ოსტატებმა, უფრო და უფრო სრულყოფილი და ნაყოფიერი გახდა მათი შრომა. პირველი ელმავალი ხომ თითქმის სულ შემოზიდული ნაწილებით აიწყო, მალე ნაწილების ოთხმოცი პროცენტი ადგილზევე დამზადდა. დღეს კი ელმავალი მთლიანად თბილისის ქარხანაში კეთდება, სხვათა შორის, სპეციალისტებმა გვითხრეს, რომ ერთ ელმავალს 97 ათასზე მეტი ნაწილი სჭირდება, ხოლო თბილისური მარკით წელიწადში 100-105 ელმავალი ემატება ჩვენი ქვეყნის ლიანდაგებს!

ქართველი ელმავალმშენებლები ყოველთვის სახვალიოდ ემზადებიან, ეს კი აუცილებელია, რადგან სამშობლო ყოველდღე მოითხოვს უფრო ძლიერ, უფრო სწრაფ, უფრო თანამედროვე ელმავლებს. ამ საკითხზე გამუდმებით ფიქრობენ ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროში. ინჟინერ-კონსტრუქტორები ყოველდღიურად მუშაობენ როგორც სერიული წარმოების ელმავლების გაუმჯობესებაზე, ისე ახალი ელმავლების შექმნაზე.

1961 წელს, საბჭოთა საქართველოს ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით, ქარხანაში აიგო ახალი კონსტრუქციის მრავალღერძიანი ელმავალი „ვლ-10“, ეს ელმავალი უფრო ძლიერია, უფრო სწრაფი, ვიდრე ნოვოჩერკასკში შექმნილი.

...ქარხანაში ოცი საამქროა, თითოეულ საამქროში უბნებია, საწარმოში 4 ათასამდე კაცი მუშაობს. ხანდაზმულთა გვერდით დგანან ახალგაზრდებიც, რომლებიც უკვე კარგად დაეუფლნენ საქმეს.

ამ დიდ საწარმოს თავისი კორიფეები ჰყავს—ადამიანები, რომლებმაც ნაყოფიერი მარჯვენით სახელი გაუთქვეს თბილისურ ელმავალს. საგულისხმოა, რომ საქართველოში პირველად ამ ქარხანაში შეიქმნა კომუნისტური შრომის ბრიგადა. ზეინკალ-მემონტაჟეთა ამ ბრიგადას გურამ ჩადუნელი ხელმძღვანელობს. მას მალე აუბა მხარი ვასილ პაპინაშვილმა. და რაღაც სამიოდე წელიწადში ელმავალმშენებლებს 34 კომუნისტური შრომის ბრიგადა ჰყავდათ. ჩადუნელის ბრიგადაზე არანაკლები სახელი მოიხვეჭა ამირან გელაშვილის ბრიგადამ.

17 წლის ჭაბუკი მოვიდა ქარხანაში ვასილ პაპინაშვილი. სულ მალე სახელმოხვეჭილი ზეინკალი გახდა. მისი ბრიგადის ნამუშევარი გამოირჩევა წუნდაუდებელი ხარისხით. მთავრობამ დიდად დააფასა ვასილის შრომა. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 2 აპრილის ბრძანებულებით მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და ოქროს ვარსკვლავით „ნამგალი და ურო“.

„ოქტომბრის რევოლუციის“ ორდენები უმშვენებენ მკერდს ამწყობ-ზეინკლებს ვახტანგ მაცაბერიძეს და კარლო ორაგველიძეს. ორდენოსნები არიან ირაკლი ბადრიძე და შალვა ლეჟავა, გივი ხეცურიანი და მრავალი სხვა. მათ მხარდამხარ სახელოვნად შრომობენ ახალგაზრდებიც. ყოველ მათგანს სამუდამოდ დაამახსოვრდა საწარმოში მოსვლის დღე, როცა სამახსოვროები გადაეცათ. პირველად ამ სამახსოვროებით შეიტყვეს თუ რა სახელოვან საწარმოს უკავშირებდნენ თავიანთ მომავალს.

შრომობენ და სწავლობენ ახალგაზრდები. მათთვისაა მუშა-ახალგაზრდობის ორი საშუალო სკოლა. ქარხნის ტერიტორიაზეა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი, სადაც ქარხნის ბევრი მუშა იღებს უმაღლეს განათლებას. გაუმჯობესებულია მათი სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები. ელმავალსაშენებელი ქარხნისა და აქ მომუშავე ადამიანების ინტერესებს ემსახურება მრავალტირაჟიანი გაზეთი „ელმავალმშენებელი“ და ქარხნის რადიოკვანძი.

...ყოველწლიურად თბილისელი ოსტატების მარჯვენით გამართული ასეულობით ელმავალი ემატება ქვეყანას. საბჭოთა კავშირის თვალუწვდენ მიწა-წყალზე, კიდიდან კიდემდე დასრიალებენ თბილისური ელმავლები, გადაჰყავთ ადამიანები, გადააქვთ ტვირთი.

ელმავლებს ელოდებიან უკრაინელები და ბელორუსები, ბალტიისპირელები, და ყაზახები, აზერბაიჯანელები და ციმბირელები, ელოდებიან როგორც სიკეთის და მეგობრობის მაცნეს. ეს მაცნეები ჩვენთან, თბილისში, იწყობა.

ჯემალ ქურხული

მეფოლადის მხურვალე გულით

დიახ, მეფოლადის მხურვალე გულით გილოცავთ ახალი წლის დადგომას, თანამემამულენო. ჩემთვის ახლობლებიც ხართ და შორეულნიც — სისხლი სისხლთაგანნი, ხორცი ხორცთაგანნი.

რას ვისურვებდი საახალწლოდ? — მშვიდობას, ბედნიერებას, სიკეთეს. ქართველის დედას — თბილისის გადმოსახედში რომ დგას ცალ ხელში მასპინძლის თასით და მეორეში მახვილით, მალე ყველა დაკარგული შვილი ეპოვნოს. ჩემს რუსთავშიც მოსულიყავით, ოცდახუთი წლის ჭაბუკ ქალაქში — საბჭოთა ერების ერთობლივი ამაგით მკვდრეთით რომ აღდგა სფინქსივით და საუკუნოვან ქალაქებსაც ტოლს არ უდებს არაფერში.

აქ — ხალიბთა ნაკვალევ ალაგას მეტალურგიულ გიგანტში ისეთ ფოლადს ვადნობთ, სამშობლოს რომ ბურჯად უდგას და მისი ნაწარმი საზღვარგარეთის ათობით ქვეყანასაც ეგზავნება.

მეფოლადისა და მგლინავის ხელობა მოძმე რუსმა და უკრაინელმა დიდოსტატებმა შეგვასწავლეს. ისე გავიწაფეთ ამ საქმეში, რომ შეგირდებიც გავიჩინეთ. ჩვენს ქარხანაში დაეუფლნენ მეტალურგის რთულ პროფესიას რუმინელი, იუგოსლავიელი, ბულგარელი, ირანელი... ახალგაზრდები, რაც გვესახელება და გვეამაყება.

ჩვენს ნახელავს მშვიდობისა და მეგობრობის ფოლადს ვუწოდებთ. ამ ორიოდე თვის წინათ რევოლუციით შობილ ქვეყანაში — კუბაში ვიყავი. აქ ჰავანასთან ახლო მდებარე ქარხანა ანტილიანა დე ასეროს მარტენის საამქროში მოსკოვის ქარხანა „ელექტროსტალის“ მეფოლადეებთან, სოციალისტური შრომის გმირ ვლადიმერ გარიაკინთან და კუბელ მეფოლადეებთან არმანდო ფრანცისკოსა და არმანდო სანტესთან ერთად გამოვადნეთ ფოლადის მეგობრული ნადნობი. კუბელ მეფოლადეებთან მეგობრული ნადნობის გამოშვებაში ადრეც, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ზეიმის დღეებში, მიმიღია მონაწილეობა ქალაქ ჩერეპოვეცის მეტალურგიულ ქარხანაში.



მეფოლადე მიხეილ სპანდერაშვილი

სამი ათეული წელიწადია მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში ვმუშაობ. ამავე საამქროს ეკონომისტია ჩემი ქალიშვილი ცისმარი, ვაჟი თამაზიც ჩვენივე ქარხნის კავშირგაბმულობის საამქროში მოღვაწეობდა, ამჟამად საბჭოთა არმიის რიგებში წმინდა მოქალაქეობრივ მოვალეობას იხდის. მეტალურგობა ჩვენთვის ოჯახური პროფესიად იქცა.

არსად ისე არ ფასდება მუშის ალალი შრომა, როგორც ჩვენს ქვეყანაში. შრომამ კაცად მაქცია, საქვეყნო საქმეთა გადაწყვეტაში წილი დამიდო. მე, როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ამ ცოტა ხნის წინათ ვმონაწილეობდი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის მუშაობაში, სადაც ახალი წლის გეგმა, მშვიდობისა და ბედნიერების ბიუჯეტი დავამტკიცეთ.

ერთად შევსვათ ახალი წლის სადღეგრძელო, ფუძე დავილოცოთ, გავმრავლდეთ, გავძლიერდეთ ჩვენი საქართველოს ბედნიერი ცის ქვეშ, ჩვენც გავიხაროთ, მოყვარეც გახაროთ!.

მიხეილ სპანდერაშვილი,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ამუშავდა ავტომატური სადგური

ამბროლაური. სულ უფრო მაღლდება რაიონის სოფლების სატელეფონო მომსახურების დონე. ამას წინათ სოფელ ნიგორწმინდაში ამუშავდა 50-ნომრიანი ავტომატური ტელეფონის სადგური. სადგურები უკვე ამოქმედდა სადმელსა და შრომაში, მიმდინარეობს ავტომატური ტელეფონის სადგურის დამონტაჟება სოფელ ზნაკვაში.

ავტომატურმა ხაზებმა ერთმანეთს დააკავშირა სოფლის უბნები, საკოლმეურნეო ფერმები და ბრიგადები.

გამარჯვებულნი

ბათუმი. საქართველოს საზღვაო სანაოსნოში რამდენიმე ნავსადგური და ათობით ტანკერი შედის, რომელთა შორის გაშლილა სოციალისტური შეჯიბრება. მეზღვაურები იბრძვიან ახალი შრომითი წარმატებებისათვის.

ამას წინათ ცნობილი გახდა სოციალისტური შეჯიბრების მეოთხე კვარტალის შედეგები. პირველ ადგილზე გამოვიდნენ და პირველი ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ ტანკერების „გორისა“ და „ალექსეევკის“ ეკიპაჟები. მეორე ფულადი პრემია მიეკუთვნათ „კლაიპედისა“ და „სამტრედიის“ ეკიპაჟებს, ხოლო მესამე — „ფრედრიხ ენგელსის“ და „ქარელის“ ეკიპაჟებს.

სანაოსნოს ნავსადგურებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში უველას გაუსწრო ბათუმის ნავსადგურმა. აღინიშნა სოხუმისა და ფოთის ნავსადგურების კარგი მუშაობა.

ცნობილ მწერალს **ელიზბარ ზედგინიძეს** დაბადების 70 წლისთავი შეუსრულდა.

ქართველმა მკითხველმა კარგად შეაფასა მისი ნაწარმოებები: „მზის ამოსვლამდე“, „გაზაფხული დაიწყო ადრე“, „იღვიძებენ მთები“, „ვერცხლის ქამარი“, „ოქროს თუმნიანი“, „სამშობლო“, „შორეული ცის ქვეშ“...

მისი ნაწარმოებების დიდი ნაწილი თარგმნილია მოძმე ხალხთა ენებზე.

გთავაზობთ „აკვანს“.

აკვანი

ტირიფონის ველით მოვდიოდი...

შემომაღამდა. მისწყდა ადამიანის ხმა, ფოთლებიც კი გაირინდნენ. უმთვარო ღამეები იდგა. არც ვარსკვლავები გამოჩენილიყვნენ ცაზე, მაგრამ რაღაც შუქი მაინც ლურჯად ანათებდა სივრცეს. ჩემს წინ იშლებოდნენ მთათა და ხეხილთა ლამაზი სილუეტები, რომლებიც ისე მოჩანდნენ, თითქოს ისინი ბუნების დიად ფუნჯს ზედ ცაზე დაუხატავსო.

დროდადრო მომესმოდა ლიახვის შხუილი, თითქოს ებუზღუნებოდა მიწას, რომელშიც თვითონვე ბორგავდა.

ვუახლოვდები ქართლის გულს. კარგად გამოჩნდა გორის ციხე, ჭალაქის თავზე რომ აღმართულა და თითქოს ესაუბრება მას. ისე მგონია, გორის ციხე ჩემსკენ მოემართება. აი, მომიახლოვდა კიდეც, გაიზარდა და გოლიათივით წამომადგა თავზე.

სინათლეებმა გული გამიხარეს. შემოვუარე ციხეს, ვშორდები კიდეც, მაგრამ ახლა უკვე ისე ვგრძნობ, თითქოს იგი მომყვება უკან. მესმის მისი მძიმე ნაბიჯები... მოგონებები ხუნდებად შემომეხვია... რამდენი სიცოცხლე გადაურჩენია მის კედლებს, რამდენი მოხუცი, ქალი და ბავშვი შეუფარავს მის გალავანს. თითოეულ მის ქვას უბრძოლია სამშობლოსათვის, თავისი ვალი მოუხდია ქვეყნის წინაშე.

უმთვარო ღამეში განათებულია სივრცე, ბრწყინავს ქალაქი — ქართლის გული. თითოეული სახლი თბილად და მშვიდად სუნთქავს. მათ ღრმა იდუმალებაში მომესმის ეს სიმშვიდე და ბედნიერება...

აი, მახპინძელმა გააღო კარი, გააღო გულიც და შუბლგახსნილი შემოძღვა შინ. ოთახში ხუთი ბიჭი დარბის. მეექვსე, ჩვილი, აკვანში წევს. აკვანზე ნიუარის კაკლები ჰკიდია. პაწია შეჰყურებს იმ კაკლებს და კრიალა თვალთა სხივებით ეთამაშება.

როგორც ჩვენმა მამებმა იცოდნენ — სადღეგრძელოები დავლიეთ, წრფელი და სიყვარულით სავსე. ძილი ნებისა ვუსურვეთ ერთმანეთს და მშვიდმა ღამემ მშვიდი ძილით მოგვასვენა.

შუაღამის გადასულს აკვნის ნელმა რწევამ გამადვიძა, დედის ტკბილი ღიღინიც მომესმა, მღეროდა ნანას, აძინებდა ძილში შემკრთალს, ის ხუთი ვაჟიც ამავე აკვანში გაზრდილან, ამ ტკბილ ხმაში წამოჩიტულან.

ირწეოდა აკვანი, ისმოდა მშობლის ტკბილი ნანინა, მე კი ფიქრების სახთუმალზე ვიწექი: — ქებათაქება იმის მარჯვენას, ვინც აკვანს აწყობს, ნაივით მსუბუქ იფნის ხეს თლის და ქმაყოფილების ღიმილში ტკბილად ღიღინებს. ეს საამური მისი ღიღინი წმინდა ნაკადულივით მოდუდუნებს გულიდან, საშვილიშვილო საქმე ახარებს, აკეთებს აკვანს—ლამაზს, ბედნიერს, ათობით თაობა რომ გამოზარდოს, საუკუნეს გაუძლოს.

მომავალში იცქირება მეკვნე. ახლად დაბადებულ ადამიანს სიცოცხლის სარეცელს უმზადებს, ჩვილი ბავშვის ჩვილ სარეცელს, სადაც პირველად უნდა შეიგრძნოს მან ცხოვრება, შემბოჭავი არტახების სიმძიმე, რასაც უადვილებს მშობლის ტკბილი ხმა, საყვარელი მკერდი და დედის გულიდან ამოწვდილი მარადიული სიმღერა — „იავნანა“! რამდენ მშობელს თეთრად გაუთენებია აკვანთან „იავნანას“ სიმღერით, რამდენ მშობელს ცრემლით დაუნამავს ჩვილის თბილი სახთუმალი, მაგრამ ამავე დროს რამდენ მშობელს სიხარული და ბედნიერება უხილავს აკვანში, უხილავს ბავშვის სიცოცხლით სავსე თვალები, უმწიკვლო ღიმილი და კისკისი, პატარა თითების მკერდზე ფათური და მტრედისებური ღუღუნი დედის ძუძუთი დატკბობის დროს...

მე ვიცი, როდესაც მეკვნე აკვანს აწყობს, პატარა ჩაჭუჩს ფრთხილად ურტყამს ფიცრებს, რანდავს სარწეველ საგოგავებს, რადგან თვალწინ უდგანან პატარები, უმწეონი. ისე ჰგონია, ბავშვიც კი წევსო შიგ, თითქოს ეშინია არ მოახვედროს ჩაქუჩი, არ შეახოს შალაშინი, არ ავნოს ყრმას.

რა არ გადაუტანია ჩვენს აკვანს?! ჩვილი ბავშვიც კი მსხვერპლად შესწირვია მამულს, მშობლის თვალთა წინ სიცოცხლის მტრებს — ამაოხრებელ ურდოებს — აკვანი ბავშვიანად ცეცხლში ჩაუგდიათ. ყრმა და აკვანი ერთად ჩაფერფლილა, მაგრამ ქართველ მეკვნეს კვლავ გაუწყვია ჩვილთა სარეცელი, მსუბუქი, ლამაზი და ძვირფასი აკვანი, რადგან მას სწამდა, რომ არ შეწყდებოდა სიცოცხლის ნაკადული, რომ პატარა ჩანჩქერები მაინც წამოვიდოდნენ სალი კლდის მკერდზე, ძლევამოსილი მუხის ტოტებქვეშ. მან იცოდა, რომ აკვანს დამრწევი მუდამ ეყოლებოდა — მშობელი დედა, სიცოცხლის მარადისი.

და მშობელიც მღეროდა ნანას, ნატრობდა შვილის გაზრდას, დავაჟკაცებას, სახელოვნებას, მშობელი ამ ნანაში უმღერდა ჩვილს, თავის განცდას, სამშობლოს განცდას!

მეკვნევ, ჩემო შორეულო წინაპარო, ქართველო მეკვნევ, შენ გამოჩარხე რუსთაველის აკვანი! ბედნიერი იყო ის აკვანი! კარგი ხელი გჭონია, ჩემო წინაპარო, ბედნიერი ხელი!..

რუსთაველის მშობელი დედა აკვანზე დაურდნობილი მღეროდა ნანას, ის ისევე, როგორც ყოველი ქართველი დედა, გულიდან ამოწვდილ „იავნანას“ უმღერდა ჩვილს, არწევდა მას, ათენებდა ღამეებს და ქვეყნის დიდებას მღეროდა ამ ნანაში. ეს დიდება აკვნისაგანი იმან ჩაუქსოვა რუსთაველს გულში, გონებაში და მარადიული სიცოცხლე მიანიჭა.

დიდება შენ, მეკვნევ, ქებათა ქება შენს მარჯვენას!... ნეტავი ოცნებით მაინც წარმომიდგეს შენი სახე, დიდოსტატო, ხელოვანო, რუსთაველის აკვნის შემოქმედო!... ახალგაზრდა იყავი თუ დარბაისელი, ჭაღარა გილამაზებდა მადლიან სახეს, თუ გიშერი გიმშვენებდა, დუხჭირი ცხოვრებით დაღარული თუ ნათელი შუბლი გიმაღლებდა გონებას. რა ცეცხლი დუღდა შენს გულში, რა სიმღერა ათრთოლებდა შენს ბაგეებს აკვნის გაწყობისას?!

ფიქრების სახთუმალზე ვიწექი... მეზობელი ოთახიდან კვლავ მოისმოდა აკვნის რწევა და ტკბილი ნანინა... ვთვლემდი და მეგონა, თითქოს ირწეოდა ქართლის გული, ირწეოდა მთელი საქართველო, როგორც ვეებერთელა აკვანი, რომელმაც ალზარდა მრავალი სასიქადულო მამულიშვილი.



პეტეფის სამშობლოში



სურათზე: მარცხნიდან — ნოდარ გურეშიძე, თარჯიმანი ივან ტაროცი და უნგრეთის მწერალთა კავშირის გენერალური მდივნის მოადგილე პოეტი გაბორ გარაი.

მიმდინარე წელს საბჭოთა ხალხებმა მთელი მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებრიობასთან ერთად საზეიმოდ აღნიშნეს უნგრეთის დიდი პოეტისა და ეროვნული გმირის **შანდორ პეტეფის** დაბადების ასორმოცდაათი წლისთავი.

შანდორ პეტეფის ბრწყინვალე პოეზიას კარგად იცნობს ქართველი ხალხი. გრიგოლ აბაშიძის შესანიშნავი თარგმანების მეშვეობით იგი შეიყვარა და გულთან ახლოს მიიტანა ჩვენმა მკითხველმა. პეტეფის ლექსების მრავალი მშვენიერი თარგმანი გამოაქვეყნეს ქართველმა პოეტებმა ამ საიუბილეო დღეებშიც.

ნოემბრის მეორე ნახევარში უნგრეთის დედაქალაქში მოეწყო უნგრული პოეზიის მთარგმნელთა ბუდაპეშტის საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდა მსოფლიოს ოცზე მეტი ქვეყნის ორმოცდაათამდე წარმომადგენელი. საბჭოთა კავშირის მწერალთა დელეგაციაში შედიოდნენ მუშაფარ ალიმბაევი (ყაზახეთი), ლაიმონის კამარა (ლატვია), გაბდულა ბაიბურინი (ბაშკირეთი), გაფარ მირზოევი (ტაჯიკეთი) და ამ სტრიქონების ავტორი. დელეგაციის ხელმძღვანელობა მე დამევალა.

კონფერენცია წარმოადგენდა შანდორ პეტეფისა და იმრე მადაჩის დაბადების 150 წლისთავისა და მიხაი ჩოკონაის დაბადების 200 წლისთავის საიუბილეო ზეიმის დაგვირგვინებას. მასზე განხილული და შეჯამებული იქნა ის შემოქმედებითი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია უნგრული პოეზიის თარგმანებთან სხვადასხვა ენებზე. ეს იყო მთარგმნელთა ერთობლივი მუშაობის ფორუმი, რომელზეც მსჯელობდნენ მხატვრული თარგმანების აქტუალურ პრობლემებზე, ენობრივი და ტექნიკური სიძნელეების დაძლევის საკითხებზე.

პეტეფის შემოქმედება კარგადაა ცნობილი მსოფლიოს ხალხებისათვის. მისი შემოქმედება თარგმნილი და გამოცემულია დედამიწაზე მცხოვრებ ხალხთა მრავალ ენაზე. კონფერენციაზე განსაკუთრებით აღინიშნა პეტეფის ნაწარმოებთა პოპულარობა საბჭოთა კავშირში. ამ საკითხზე გამოსულმა მომხსენებელმა, საქართველოში ცნობილმა ლიტერატურათმცოდნემ დიერდ რადომ (ეგი მრავალჯერ არის ნამყოფი ჩვენში.) გრცლად მიმოიხილა ჩვენი ქვეყნის ხალხების სხვადასხვა ენებზე შესრულებული თარგმანები და მაღალი შეფასება მისცა პეტეფის ქართულ თარგმანებს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ დიერდ რადოს საყურადღებო წიგნი გამოუცია საბჭოთა კავშირში უნგრული ლიტერატურის თარგმნისა და საერთოდ საბჭოთა კავშირის ხალხებისა და უნგრეთის ლიტერატურათა ურთიერთობის შესახებ. ამ წიგნში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ქართულ-უნგრულ კულტურულ ურთიერთობებს.

კარგად არის ცნობილი აგრეთვე იმრე მადაჩის შემოქმედება და განსაკუთრებით მისი დრამა „ადამიანის ტრაგედია“. ეს ნაწარმოები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია გამოცემული და მრავალი თეატრის სცენაზე დადგმული. უნგრეთში ინტერესით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ „ადამიანის ტრაგედიის“ თარგმანზე უკვე რამდენიმე წელია მუშაობს ამ სტრიქონების ავტორი. არაუნგრელი მკითხველისათვის ნაკლებადაა ცნობილი მიხაი ჩოკონაის შემოქმედება. უნგრელი მასპინძლები ყველანაირად ცდილობდნენ სტუმრად ჩასული მთარგმნელების ყურადღება მიექციათ უნგრული ლიტერატურის ამ კლასიკოსის შემოქმედებისადმი.

კონფერენციაზე, რომელიც ხუთ დღეს გაგრძელდა, მოსმენილი იყო მრავალი საინტერესო მოხსენება და სიტყვა. გაიმართა აგრეთვე „მრგვალი მაგიდა“ რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. ერთ-ერთი სხდომის დროს სიტყვით გამოსვლა მეც მომიხდა. ჩემს სიტყვაში ვილაპარაკე საქართველოსა და უნგრეთის კულტურულ და ლიტერატურულ ურთიერთობაზე, უნგრული ლიტერატურის ქართულ თარგმანებზე.

კონფერენციის მსვლელობისას გვქონდა საინტერესო შეხვედრები უნგრელ მწერლებთან, გამომცემლობა „ეუროპას“ თანამშრომლებთან, უნგრეთის საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოში. გაიმართა შეხვედრები მკითხველებთან, სადაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები თავიანთ ენაზე კითხულობდნენ უნგრელ მწერალთა ნაწარმოებების თარგმანებს. შეხვედრებზე გაისმოდა ქართულ ენაზე წაკითხული ლექსიც.

უნგრეთში ყურადღებით ადევნებენ თვალს ჩვენს მწერლობას. სიამოვნებით შევიტყვე, რომ გამომცემლობა „ეუროპაში“ უახლოეს ხანში გამოდის ქართული ლექსებისა და მოთხრობების კრებულები.

იუბილეს დღეებში სხვა მრავალრიცხოვან წიგნებთან ერთად უნგრეთში გამოუციათ პეტეფის ლექსის „თავისუფლება და სიყვარული“ მცირე ფორმატის პოლიგრაფიულად შესანიშნავად შესრულებული ჯიბის წიგნი, რომელშიც დასტამბულია მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე თარგმნილი „თავისუფლება და სიყვარული“, ზოგჯერ რამდენიმე სხვადასხვა თარგმანი ერთ რომელიმე ენაზე. მაგალითად, წიგნში ამ ლექსის ორი ქართული თარგმანია შესული, გრიგოლ აბაშიძისა და იოსებ ნონეშვილის მიერ შესრულებული.

უნგრელმა მასპინძლებმა დიდი სტუმართმოყვარეობა და სითბო გამოიჩინეს. ისინი ცდილობდნენ მაქსიმალურად გამოეყენებინათ ჩვენთვის ქალაქის გასაცნობად ის შვიდი დღე, რომელიც ბუდაპეშტში გავატარეთ. დაგვათვალიერებინეს პეტეფის სახელობის მუზეუმი, ვიყავით გელერტის მთაზე, მეთევზეთა ბასტიონზე, მარგიტის კუნძულზე, დავათვალიერეთ ხელოვნების მუზეუმი...

სტუმრად მივგვიწვია საბჭოთა კულტურის ცენტრმა, რომელიც ბუდაპეშტში ლაიოშ კოშუტის ქუჩაზე მშვენიერ შენობაშია მოთავსებული. აქ გაიმართა შეხვედრა ცნობილ საბჭოთა მწერალ დანიელ გრანინთან, რომელიც იმ ხანად უნგრელ მწერალთა სტუმარი იყო. აქვე შევხვდი ჩვენს თანამემამულეს, უნგრეთში საბჭოთა საელჩოს თანამშრომელს თემურაზ ჩიქოვანს.

უნგრეთში მესამედ ვიყავი. ჩემთვის ახალი არ იყო ბუდაპეშტის ულამაზესი სანახები, დუნაიზე გადასროლილი ზღაპრული ხიდები, ჭუჭები, მოედნები გრანდიოზული ქანდაკებებით. მაგრამ ბუდაპეშტი ყოველი შეხვედრისას ახალი და მშვენიერია, ლამაზი და შთამბეჭდავი.

ნოდარ გურეშიძე

რომენ როლანის ქვრივი მოსკოვში

ქართული სიმღერები ჩემი ახალგაზრდობის ყველაზე ლამაზი მოგონებაა... — თქვა დიდი ფრანგი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის რომენ როლანის 77 წლის ქვრივმა — მარიამ პავლეს ასულმა როლანმა, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა მეცნიერებათა აკადემიის მოწვევით.

მწერლის მეუღლე დაესწრო მოსკოვში სამხატვრო თეატრის სპექტაკლ „კოლა ბრუნიონს“, რომელიც რომენ როლანის ცნობილი მოთხრობის მოტივზეა აგებული; სწორედ ანტრაქტის დროს შედგა მისი საუბარი ჟურნალისტებთან: „უკანასკნელად მოსკოვში 1969 წელს ვიყავი, — თქვა მარიამ პავლეს ასულმა, — და ამ ხნის განმავლობაში მოსკოვი უფრო შეიცვალა და გალამაზდა, ყოველ ნაბიჯზე მშენებლობებია და მშენებლობები...

მონაწილეობა მივიღე მოსკოვის მსოფლიო მშვიდობისმოყვარე ძალების დიდ ფორუმში. მშვიდობა დღეს კაცობრიობის ყველაზე დიდი საფიქრალი და მოთხოვნილებაა. მე უბედურება დამატყდა თავს მეორე მსოფლიო ომის დღეებში, მაშინ მოსკოვის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე წარმატებით სწავლობდა ჩემი შვილი სერითჟა. მას არ დასცალდა ასპირანტურის დამთავრება — 1941 წელს იარაღით ხელში დაეცა ბრძოლის ველზე მოსკოვის დაცვის დროს... ამიტომ ის დიდი კეთილშობილური მისია, რომელსაც წარმატებით ახორციელებს საბჭოთა კავშირი მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალების გაერთიანების საქმეში, საყოველთაო მოწონებით და მხარდაჭერით სარგებლობს ჩვენი პლანეტის ყოველ კუთხეში... მოსკოვი ძალიან მიყვარს. ბევრი მეგობარი მყავს აქ. სიხარულით და სიყვარულით ვიგონებ 1937 წელს, როცა თქვენი ქალაქი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კულტურის დღეებით ცხოვრობდა. განუმეორებელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე და ჩემს მეუღლეზე ქართულმა სიმღერებმა, მოვარდნილმა თითქოს შორეული და ზღაპრული კოლხეთის ნაპირებიდან. და დარჩა ეს მოგონება დღესაც, როგორც ჩემი შორეული ახალგაზრდობის ერთი ყველაზე უფრო ლამაზად მოქარგული სურათის გაელვება“...



ლადო გუდიაშვილი

ვეპხისტყაოსნის ილუსტრატორი

ლი გათ- უმში

ბათუმის საბამოფენო დარბაზი სახიქადულო ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის პერსონალურ გამოფენას მასპინძლობდა. ერთი თვის განმავლობაში აქ 56 ათასი დამთვალიერებელი მოვიდა, შთაბეჭდილების წიგნი სავსეა მადლიერებისა და აღტაცების გამომხატველი ჩანაწერებით.

ლადო გუდიაშვილი!

ეს სახელი მეოცე საუკუნის ხელოვნების სამყაროში გამორჩეული ბრწყინვალებით კიაფობს. იგი ბოლომდე ერთგული რჩება შემოქმედების პრინციპებისა — ხალხის უებრო სამსახური, ბოროტების წინააღმდეგ, სიკეთისა და მშვენიერების დამკვიდრებისათვის, პროგრესული იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლა. სწორედ ამ გზით მიაღწია მან საკვეყნო აღიარებას.

ლადო გუდიაშვილი თავის კომპოზიციურ ქმნილებებში ისეთ ფილოსოფიურად, სიმბოლურ-ალეგორიულად გააზრებულ სიუჟეტებს აქსოვს, რომელთა წაკითხვა მოითხოვს მაღალ კულტურულ დონეს. მისი შემოქმედება ახალი სამყაროა, რომლის შეგრძნება-გაგება მარადჟამს იქნება ადამიანის შეუსწავლებელი ინტერესის საგანი.

...ოციან წლებში ლადო პარიზშია. მან 1920 წელს პარიზის „საშემოდგომო სალონში“ ოთხი ნამუშევარი წარადგინა. მოხდა დაუჯერებელი რამ — შერჩევის სიმკაცრით ცნობილმა სალონმა ლადო გუდიაშვილის ოთხივე ნაწარმოები მიიღო და დაუყოვნებლივ გამოაფინა.

პირველი, ვინც ლადოს ხელოვნებით მოიხიბლა და მის საიდუმლოებას ჩაწვდა, გახლდათ ცნობილი ესპანელი მხატვარი იგნასიო ზულოაგა, რომელმაც სალონის დირექციაში შეიტყო ლადოს მისამართი და დაუყოვნებლივ გაემგზავრა მის სანახავად; ესპანელი მხატვარი ეწვია ლადოს პატარა სახელოსნოს მონმარტრზე. დიდად მოხიბლულმა ზულოაგამ მასპინძელს წინადადება მისცა — დიდ ფასად დაეთმო ყველაფერი, რაც სახელოსნოში ჰქონდა.

ხელმოკლე მხატვრის გულის მოსაგებად, თვალის მოსაჭრელად სტუმარმა მყისვე ამოიღო და მაგიდაზე დაწყო მოზრდილ ბანდეროლებად შეკრული ასიგნაციები. ლადომ ქებული ქართული სიდარბაისლით უარი უთხრა მხატვარს ნაშრომების მიყიდვაზე და რამდენიმე ნაწარმოები საჩუქრად შესთავაზა.

ზულოაგამ მხოლოდ ერთი ნაწარმოები („ქეიფი ბაღში“) მიიღო და მეგობრულად დაემშვიდობა მასპინძელს. ცოტა ხნის შემდეგ ლადომ შეამჩნია, რომ ესპანელ სტუმარს ქუდი შესცვლოდა. იგი დაეწია და ღიმილით გაუწოდა ქუდი. სტუმარმა მადლობა უთხრა, თან დასძინა, რომ ლადოს ქუდს, როგორც ძვირფას სუვენირს, დიდი სიამოვნებით შეინახავდა, რადგან მისი პატრონი მომავალში უთუოდ მოიხვეჭსო მსოფლიოში აღიარებული ხელოვანის სახელს.

მოდერნიზმი თავისი მრავალსახოვანი მიმდინარეობით ოციანი წლების პარიზში ყველაზე თვალსაჩინოდ და რელიეფურად იყო წარმოდგენილი. აქ თავმოყრილ მრავალრიცხოვან მხატვართა შორის მხოლოდ ერთეულების ხსენება თუ შეიძლება, რომელნიც არ აჭყვნენ ცთუნებას და ახალი მოდის „იზმების“ ქსელში არ მოექცნენ. ლადოც ამ მცირერიცხოვანთა შორის იყო. მის დიდ ღირსებად სწორედ ის უნდა ჩაითვალოს, რომ მან პარიზში, როგორც მხატვარმა უფრო ღრმად შეიცნო, იპოვა თავისი თავი. ჩამოყალიბდა საკუთარი ხელწერის ისეთ ოსტატად, რომელიც შესანიშნავად აერთებდა ეროვნულ პრინციპებს და იმ ახალს, რაც მან შექმნა. მისი ხელოვნების პირველწყაროს რეალური სინამდვილე წარმოადგენს, სინამდვილე თავისებურად გაგებული და ახსნილი ფილოსოფიურად მოაზროვნე მხატვრის მიერ.

ლადო გუდიაშვილი თავის შემოქმედებაში ყოველთვის დიდ პატივს დებდა დღევანდელობის თემებს, სოციალურ, ისტორიულ-რევოლუციურ სიუჟეტებს. ჯერ კიდევ პარიზში ყოფნისას, 1925 წელს იგი გაიტაცა პარიზის კომუნარების გმირული ბრძოლის ისტორიამ და მასალების გულმოდგინე შესწავლის საფუძველზე შექმნა საკმაოდ მოზრდილი ფერწერული ტილო — „პარიზის კომუნარების დახვრეტა“, უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი (1926 წელს) პირველი ნაწარმოები ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიულ თემას მიუძღვნა. მომდევნო წლებშია შექმნილი: „მოდიან კომკავშირელები“, „ცისტერნების შეკეთება“, „მუშკორის სიკვდილი“, „ფერო-მარგანეცის ქარხანა ზესტაფონში“, „რიონჰესი“, „ბრძოლა ნაძალადევში 1905 წელს“, „არსენა ჯორჯიაშვილი სიკვდილით დასჯის წინ“.

ომისშემდგომ პერიოდშია შექმნილი „საოლმეურნეო ბრიგადის დაბრუნება“, „სამგორის მშენებლობაზე“, „სიმღერა მშვიდობაზე“, „ლენინის დღეები“, „ძველი და ახალი“, „საიუბილეო წელი“ და მრავალი სხვა.

მხატვრის შემოქმედებაში საკმაოდაა აჭარისათვის დამახასიათებელი თემები: „ჩაის კრეფა“, „ბრიგადა ჩაის პლანტაციაში“, „ფერიდე წითელი ხელთათმანით“, „ჩაის მკრეფავები“, „ქალიშვილი მანდარინებით“, „ბათუმელი გოგონები“, „ჩაის მკრეფავი მახინჯაურელი მზია“, „ციტრუსების კრეფა“ და სხვა.

გვინდა განსაკუთრებით გამოვყოთ ჯგუფური პორტრეტის სტილში გადაწყვეტილი კომპოზიცია „კოლმეურნე გოგონები“, რადგან იგი მხატვარმა ჩვენს კულტურის სამინისტროს დაუთმო და ამიერიდან აჭარის მუზეუმის ექსპონატს წარმოადგენს; სურათში საკოლმეურნეო პლანტაციის ფონზე წარმოსახულია სამი არაჩვეულებრივად ლამაზი გოგონა, რომელთა მომზიდველი აღნაგობა, სახის გამომეტყველება და გარეგნული მორთულობა საზეიმო განწყობილებას უფრო გადმოგვცემს, ვიდრე შრომით შემართებას, მაგრამ მხატვრის ამგვარი ჩანაფიქრი თავისებურ ახსნას საჭიროებს. ლადო გუდიაშვილის ღრმა შეგნებით სოციალისტურ სინამდვილეში შრომა აკეთილშობილებს ადამიანს, იგი ნერგავს სილამაზესა და სიკოხტავეს, ყველაფერი, რაც ადამიანს ამშვენებს, შრომის ნაყოფია.

მშვენიერების განსახიერებად მხატვარს ლამაზი ქალი მიაჩნია, მაგრამ არა მარტო გარეგნული, ხორციელი, არამედ უწინარესად შინაგანი ადამიანური სულიერი სილამაზის მჭონე არსება. ჩვენს წინ არიან: „საქორწინო განბანვა“, „სიხარულის მოლოდინში“, „ეთერი სარკის წინ“, „ლოცვაში“, „სამადლობელი“, „მანდილოსანი“, „ჩუქურთმა“ და მრავალი სხვა. შევეცადეთ ამ ქმნილებებს და მოჯადოებული ვრჩებით, სიხარულისა და სიამოვნების გრძნობით ვივსებით, გვინდა ამიერიდან უფრო მეტად თაყვანი ვცეთ და დავფასოთ, ამქვეყნად რაც კი მშვენიერი და ლამაზია. მხატვრ ღრმა რწმენით ლამაზ ასულთან ერთად მშვენიერებ სამყაროს ამშვენებს ირემი, შველი, ვარდი, ცხენი.

გამოფენის ფერწერის განყოფილებაში დამთვალ რებლები დიდხანს ჩერდებოდნენ საშუალო ზომ ალეგორიული სიუჟეტის მქონე სურათთან „არმაზ აკლდამასთან“. მხატვარი საქართველოს წარსულს, მ მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს ლამაზი ქა წულის სახით წარმოგვიდგენს.

ომის წლებში განსაკუთრებით გამოჩნდა ლადო გ დიაშვილის ტალანტის თავისებურება. გამოფენაზე მოტანილ, ომის თემაზე შექმნი ფურცლ ბზე თქვენ ვერ იპოვით ბატალ რომლებ ხოცვა-ულეტის საშინელ სურა გვცემდნ მხატვარი შესანიშნავად ჩაწვდა ფაშიზმ ვანდალური მიზნებისა და ამოცანების გაგებას და თ ვისებური, ორიგინალური მიდგომით ამხილა მისი ბა ბაროსული, კაცთმძულე ბუნება. მხატვრის ღრ რწმენით ფაშისტები ყოველგვარი სიკეთის, მშვენიერ ბის მტრები არიან და მხოლოდ ბოროტებას განასახ ერებენ. ეს აზრებია ჩაქსოვილი სიმბოლური შინაარს გამომხატველ ნაწარმოებებში: „სილამაზის მესაფლ ვენი“, „სილამაზის სიიდუმლოება“, „გულქვა ლომისა „უგუნური ვაჟკაცუნები“, „აგრესორების მიერ კურ ხეული გზა „ბეღნიერებისაკენ“.

კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლის თემა გუდი შვილის შემოქმედებაში მარტო დიდი სამამულ ომის პერიოდისათვის როდია დამახასიათებელი. მხატ ვარს ღრმად სწამს, რომ რევოლუციურ გარდაქმნათ ეპოქაში, აგრეთვე სოციალურ ცვლილებათა პირობებ ში გონიერებასა და უგუნურობას, სიკეთესა და სიავე პროგრესსა და ჩამორჩენილობას შორის ჭიდილი გარ დუვალია. ეს საკითხებია აღძრული გამოფენის ექსპო ნატებში: „უმწეო“, „ბოროტი ოჯახი“, „დედობა“.

...მუქყავისფერ ტონებში გადაწყვეტილი კომპოზიც ის ცენტრში შუქჩრდილით განათებული მრავალტან ჯული ქალის ფიგურა ჩანს. სახის დაძაბული გამომეტ უყურება საშინელების განწყობილებას გადმოგვცემს ამ ქალის უმწეო მდგომარეობაში ყოფნა ქვეყნად არ სებული ბოროტი ძალების მ ...დატანჯული, სასოწარკვეთ ძიდილი, სი მწრისაგან დანაოჭებული სახის, ხანშიშესულ დედას ხელში ჩვილი ბავშვი უ ელას ელო დება. ქალი თანახმაა თვითო ლონდ ბა ვშვი აცდეს ბოროტი ძალებისა მოჭედებას.

მხატვარს კარგად აქვს შეცნობილი, რომ ახალი სო ციალური ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესშ ძველის, დრომოჭმულის, იმის, რაც ხელს უშლის ახ ლის დამკვიდრებას — მოხმობა და განადგურება გარ დუვალ, ისტორიულად გამართლებულ მოვლენას წარ მოადგენს. ეს საკითხებია აღძრული მეტად ორიგინა ლურად გააზრებულ, ტონირებულ ქაღალდზე ტუშით შესრულებულ სიმბოლურ ნახატში „ულმობელი შემო დგომა“, რაც ამჟამად ბათუმის რევოლუციის მუზეუ მის კუთვნილებაა.

ლადო გუდიაშვილი თავის ქმნილებებში ფერების შეცნობის უდიდეს ოსტატად გვევლინება, გარე სამყა რო მისთვის არ არსებობს, როგორც უშუალოდ ცქერა ბადი ფერების თავისებური კონგლომერაცია. ფერებით განუზომლად მდიდარია მხატვრის პალიტრა. მისი ზო გიერთი ნაწარმოების გამა, ზოგჯერ ცალკეული ფრაგ მენტი მუქია, მაგრამ ეს სულაც არ არის ამორფული პირიქით, თავისებურად კოლორიტულია, ფერწერულად მკვეთრი და მსუყეა; მხატვრის პალიტრა ფერებით ზო გჯერ შეზღუდულია, მაგრამ პოეტური განწყობილების უბადლო გადმოცემის ნიშნებს წარმოადგენს. ამის ნა თელი დემონსტრაციაა ნაკლებად რთული კომპოზიცია „გაზაფხული“, რაშიც მხატვარი ფერებისადმი ერთგ ვარ სიძუნწეს იჩენს, გამოყენებულია ნახევრად ცივ ტონები, მაგრამ დაკვირვებული მნახველი კარგად გრძნობს მხატვრის ჩანაფიქრს. ეს-ეს არის დამდგარა გაზაფხული, ბუნება ჯერ კიდევ ვერ წარმოიჩენილა მთელი თავისი მშვენიერებით, მრავალფეროვნებით — ეს არის წელიწადის დრო, როცა ბუნება მხოლოდ იწ ყებს გაფურჩქვნას და მხატვრის პალიტრაზე სწორედ მისი შესაფერი ფერებია ამეტყველებული.

დიდად მნიშვნელოვანია ლა ილის ღვაწ ლი გრაფიკის ხელოვნების განვ ობაში. მნახველი ერთბაშად იხიბლება თავისუფა ობით, მსუბუქი

საახალწლო პრ

უცხოელ

ქართველ

ახალ, 1974 წელს ვულოცავთ უცხოელ ქართველოლოგებსა და ქართული კულტურის პოპულარიზატორებს.

ჩვენი ქვეყნის ისტორია, ენა და მწერლობა უკვე მრავალი უცხოელის კვლევის საგანია. ძველი ბერძნული და იბერიელების, მით უფრო მე-12-13 საუკუნეების საქართველოს, რაღა თქმა უნდა, იცნობდნენ უცხოელები, მაგრამ აქ არა მათზე, არამედ ახალი ეპოქის ვითარებაზე ვჩერდებით.

საქართველოს გარეთ ჩვენი ხალხისა და კულტურისადმი ინტერესი განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც ჩვენი ქვეყნის რუსეთთან შეერთების საკითხი მომწიფდა.

თავისი თავის უცხოელთადმი გაცნობა თვით ქართველებმა დაიწყეს. 1699 წელს მეფე-პოეტი არჩილი დასახლდა მოსკოვში და იქვე წარმოიქმნა ქართული კოლონია. 1725 წლიდან ქართველთა კოლონია გაჩნდა პეტერბურგშიც; ორივემ განაგრძო საქართველოში ვახტანგ მეექვსისა და სწავლულ კაცთა მიერ გაჩაღებული შემოქმედებითი მუშაობა. იმავე პეტერბურგიდან 1800-იან წლებში გადაინერგა ევროპაში, და არა — პირიქით. თვით მაშინდელი ევროპელი უდიდესი ქართველოლოგი მარი ბროსე ქართული კულტურით დაინტერესდა ქართველების მონაწილეობით შექმნილი ე. ბოლხვიტინოვის ცნობილი წიგნის 1802 წლის გამოცემის თარგმანით, რომელიც გერმანულ ენაზე 1804 წელს გამოქვეყნდა (იმავე წელს — ფრანგულზეც).

მაშასადამე, **ქართველოლოგია საქართველოდან რუსეთში, იქიდან კი საფრანგეთშიც გადაინერგა.** შემდეგ ქართული, რუსული და ფრანგული კერებიდან იგი სხვაგანაც ჩაისახა და დღეს ქართველოლოგები და ქართული კულტურის პოპულარიზატორები არა მარტო ევროპის, არამედ ამერიკის სამეცნიერო ცენტრებშიც გვხვდებიან.

უცხოელთაგან ევროპაში დღეს ბელგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორი ლუარ გერითი არის ძველი ქართული ენერლობისა და ხელნაწერების საკითხთა მცოდნე. იგი ქრისტიანული აღმოსავლეთის ხალხების მწერლობის იმდენად აღიარებული სპეციალისტია, რომ კონგრესის ბიბლიოთეკის (ვაშინგტონი) ექსპედიციამ ჟ. გარითის ხელმძღვანელობით გადაიღო ქართულ ხელნაწერთა სინას მთის კოლექციის მიკროფილმები, რომელიც უკვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ინახება.

ჟ. გარითის მიერ გამოქვეყნებული „სინას მთის ქართული ლიტერატურის ხელნაწერების კატალოგი“ (ლუვენი; 1956), ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის სათანადო აღწერილობებთან (ლენინგრადი, 1940, თბილისი, 1947) ერთად, ჟ. გარითის მიერვე გამოქვეყნებული წიგნები სამაგალითოა სხვა გამომცემლისა და სამაგიდო ძველი ქართული მდიდარი მწერლობის ყოველი სერიოზული მკვლევარისათვის.

ამავე სერიაში ჟ. გარითის მიერ გამოცემულ ზოსიმეს „კალენდარს“ ბელგიის უმაღლესი — „სამეფო პრემია“ მიანიჭეს.

ი. ასფალგმა საფუძვლიანად აღწერა და გამოაქვეყნა გერმანიის მუზეუმებში დაცული ქართული ხელნაწერების (სულ — 10) აღწერილობა (ვისბადენი, 1963).

პოლონელმა იან ბრაუნმა გამოაქვეყნა კრაკოვში დაცულ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ი. ბრაუნი პოლონურ ენაზევე თარგმნის ქართული პოეზიის ნიმუშებს.

ცნობები ზემოხსენებულ ყველა ხელნაწერზე საყურადღებოა იმის გამოც, რომ აღწერილობა „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ქართული საიდუმლო დამწერლობის 20 ნიშანი“ გამოსცა ე. თაყაიშვილმა (პარიზი, 1933), მაშასადამე, უკვე ვიცით ზემოდასახელებულ სახელმწიფოებში რომელი ჩვენი ხელნაწერია მოხვედრილი და დაცული. ვიცით აგრეთვე სინას მთის, იერუსალიმისა და ათონის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციების შედგენილობა. ხელნაწერების აღწერები კი პირველი პირობაა მწერლობის ისტორიაში წარმატებითი მუშაობისა.

მრავალმხრივია ინგლისელი ქართველოლოგი, თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი დავით მარშალ ლანგი. იგი არის ავტორი წიგნებისა ინგლისურ ენაზე: „ქართველები“ (ლონდონი, 1966, ითარგმნა პოლონურად — „დავნა გრუზია“, ვარშავა, 1972), „ქართული ნუმიზმატიკა“ (ნიუ-იორკი; 1955), „ბალავარიანი“ (ლონდონი, 1957, 1966), „ქართველი წმინდანები“, „საქართველოს ისტორია“ და ფილოლოგიის რიგ საკითხებზეც.

ქართული ენის თეორიულად და პრაქტიკულადაც კარგი დონე არაქართველი ევროპაში ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი, სკანდინავიის ქვეყნების

ხაზებითა და შუქჩრდილებით. ეს ხაზები მტკიცე და დამაჯერებელია, ხან მშვიდი და ჰარმონიული, ხან კი დევ გაოცებთ მათი სწრაფი, რიტმული, დინამიური მოძრაობა.

მოსკოვისა და თბილისის შემდეგ საბჭოთა კავშირში ბათუმი მესამე ქალაქია, სადაც მოეწყო ლადო გუდიაშვილის პერსონალური გამოფენა. აქ წარმოდგენილი იყო ფერწერის, გრაფიკის, თეატრალური დეკორაციის, წიგნის მხატვრობის 130 ნიმუში.

კოტე მარჯანიშვილის თეატრში განხორციელებული „მაია წყნეთელი“ (ვ. კანდელაკის პიესა) ომისშემდგომი პერიოდის ქართული თეატრის ისტორიის ბრწყინვალე ფურცელია. ამ შესანიშნავი სპექტაკლის წარმატებაში ლადო გუდიაშვილის წვლილიც არის. ლადო, როგორც თეატრალური მხატვარი, დიდმა რეჟისორმა კ. მარჯანიშვილმა გაგვაცნო, თუმცა თეატრალურ მხატვრობას პირველად პარიზში ყოფნის დროს ეზიარა. მან მონაწილეობა მიიღო ერთი იტალიური ოპერის მხატვრულ გაფორმებაში.

შესაძლოა მხატვარს სხვა თეატრში მიწვევაზე უარიც ეთქვა, მაგრამ რადგან საქმე მარჯანიშვილის თეატრს ეხებოდა, იგი დიდი ხალისით დათანხმებულა „მაია წყნეთელის“ მხატვრულ გაფორმებაზე.

ვ. კანდელაკი სიამოვნებით იგონებს: „ერთ საღამოს პირველი მოქმედების მე-2 სურათის დაწყების წინ, როდესაც ჩაბნელებული დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი, ჭანდარაზე ავედი. თითქოს საგანგებოდ, იქ ლადო გუდიაშვილი დამხვდა. გაიხსნა ფარდა, სცენაზე მხოლოდ დანგრეული ეკლესიის დეკორაციები ჩანს. ერთი წუთიც და... ატყდა ტაშის გრიალი, იგი მხოლოდ სპექტაკლის მხატვარს ლადო გუდიაშვილს ეკუთვნოდა და მეც სიამოვნებით ავყევი ტაშს“.

ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილებით ლადო გუდიაშვილს მიენიჭა ბათუმის საპატიო მოქალაქეობა. ამასთან ერთად აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას მიეკუთვნა აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. ამ დაფასების პასუხად მან განაცხადა, რომ ამიერიდან ვალდებულად რაცხს თავს გარკვეული წვლილი შეიტანოს აჭარის ხელოვნების განვითარებაში. იგი უწინარეს ყოვლისა მონაწილეობას მიიღებს და ახალ ნაწარმოებებს გამოჰფენს ბათუმში მოწყობილ გამოფენაზე.

დიდ ადამიანთა ბიოგრაფიაში თავმდაბლობა, როგორც ადამიანური ქცევის უველაზე მკაფიოდ გამორჩეული, ამაღლებული თვისება ყოველთვის ხაზგასმით აღინიშნება.

ბათუმში ლადო გუდიაშვილის პერსონალური გამოფენის გახსნისას მხატვარმა დამთვალიერებლებს მიმართა: მე მოხოვნილი ვარ, ჯერ ნამუშევრების ცქერით იქნებით გული და ეტიკეტი, რომელზეც სახელწოდებაა აღნიშნული, შემდეგ მოინახულეთო. თუ ესეთ ვითარებაში ჩემს ნამოღვაწარს და გამოფენას მისცემთ დამაკმაყოფილებელ შეფასებას, მას დაუწერთ ნიშანს — მე, მე ძლიერ კმაყოფილი დავრჩებიო.

ლადო გუდიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მეცნიერული გაშუქება ხელოვნების მოღვაწეთა ღირსებისა და მატიანის საგანია. ამ მხრივ თვალსაჩინო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ლენინგრადელი ხელოვნებათმცოდნის ლ. ზლატკევიჩის უთუოდ გაბედული ნაბიჯი — მან თავისი სამეცნიერო დისერტაციის თემად გუდიაშვილის მეტად რთული შემოქმედება აირჩია და მოგვცა მისი ბრეწვრმა, მეცნიერული ანალიზი.

ნაშანდობლივია, რომ მთელი რიგი მონოგრაფიების სახელწოდება მხოლოდ ორ ლაკონურ სიტყვას შეიცავს—„ლადო გუდიაშვილი“. 1972 წელს ტოკიოში იაპონურ ენაზე დასტამბულ ცნობილი მწერლის კომიამას წიგნის სახელწოდება კი არის „ჩემი ლადო გუდიაშვილი“. იგი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ლადო გუდიაშვილი თავისი მარად უკვდავი ხელოვნებით ეკუთვნის არა მარტო მის მშობლიურ ერს, არამედ ყველა ხალხს.

ხელოვნების ქმნილებათა განხილვისას არ მიმართავენ მათემატიკურ გაანგარიშებას, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ მხატვარმა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლის მანძილზე 4.000-მდე ნაწარმოები შექმნა, მაშასადამე, იგი ყოველწლიურად თავის ხელოვნებას 60-ზე მეტი ნიმუშით ამდიდრებდა.

მრავალ ბედნიერ ახალ წელიწადს ვუსურვებ ქართული ფუნჯის დიდოსტატს!

ლადო შარაშიძე











სურათებზე: მარცხნიდან — „ნიკო ფიროსმანაშვილი“; „კეთილი ოჯახი“; „მწყემსი“; „თეთრი რაშები“, „ცოცხალი“.

...ლი არჩეულნიდ ...ელ ...დღოგებს

სამეცნიერო აკადემიების, ამერიკისა და საფრანგეთის საენათმეცნიერო საზოგადოებების წევრი და თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ჰანს ფოგტი. მისი წიგნები „თანამედროვე ქართული ენის გრამატიკა“ (ოსლო, 1936, 1971), „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“ (ფრანგულად, ოსლო, 1958, ქართული თარგმანი — თბილისი, 1961) და სხვა ნაშრომები სპეციალისტთა დიდ მოწონებას იმსახურებს.

საყურადღებოა კარლ ჰორსტ შმიტის წიგნი „ქართველური ფუძე-ენის ბგერათსისტემის რეკონსტრუქციისათვის“ (გერმანულ ენაზე, ვისბადენი, 1962, ქართული თარგმანი — თბილისი, 1964) და მისივე სხვა გამოკვლევები.

ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორი, ჩვენი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი რენე ლაფონი ქართველური ენების მასალებს ზოგიერთ პარალელს უძებნის ბასკურ ენაში.

უნგრელმა მარტონ იშტვანოვიჩმა თბილისში გაიარა ასპირანტურა, ქართულ ფოლკლორულ მასალაზე დაწერა დისერტაცია და იგი მან ჩვენს ენაზე დაიცვა ჩვენსავე უნივერსიტეტში. საკუთარი გამოკვლევების გარდა, მ. იშტვანოვიჩი მეცნიერულ და მხატვრულ ნაშრომებსაც თარგმნის ქართულიდან და აქვეყნებს უნგრეთში.

აგრეთვე თბილისის უნივერსიტეტში დაამუშავა და აქვე ქართულ ენაზე დაიცვა თავისი სადოქტორო დისერტაცია ჰაინც ფენრიხმა თემაზე „ენათა გენეტიკური ნათესაობის დასაბუთების კრიტერიუმები და ადრინდელი ქართველური ფუძე-ენის ძირეულ მორფემათა სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი“ (1971 წ. 8 დეკემბერი).

ჰ. ფენრიხი ჩვენი ენით დაინტერესა გერმანელმა ქართველოლოგმა ჭალბატონმა გერტრუდ პეჩმა, რომელმაც თავის მხრივაც ბევრი გააკეთა ამ დარგში თარგმანებითაც. იგი ჩვენი ხალხის ცნობილი მეგობარია.

ციურიხში კიტა ჩხენკელის (1895-1963) მოწაფე ქალები იოლანდა მარშავი, რუთ ნოიკომი და ლეა ფლური აგრძელებენ თავიანთი მასწავლებლის დიდი ქართულ-გერმანული ლექსიკონის გამოცემას. ავტორმა მოასწრო 6 ნაკვეთის (ა-კ) დაბეჭდვა, შემდეგ მისმა მოწაფეებმა გამოსცეს კიდევ 18 ნაკვეთი (წ-ჰ; 24 — 1973 წ.) და იმედია, ეს საშვილიშვილო საქმე 1974 წელს დასრულდება. რუთ ნოიკომი განაგრძობს ქართველი მწერლების გერმანულ ენაზე თარგმნას.

ამერიკელი ქართველოლოგი, პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ლუის ფრენსის სოლანო „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებს იკვლევს პროვანსალურ პოეზიასთან დაკავშირებით.

ჩვენი კულტურის კეთილისმყოფელნი არიან აგრეთვე: რუმინელი ვიქტორ კერნბახი, უნგრელი ლაიოშ ტარდი, გერმანელი ჰანს რიტერი, ინგლისელი ქალი ქართან ეგტონი (რუსთაველის მთარგმნელი), რობერტ სტივენსონი, პოლონელი იგორ სიკირიცკი, წარმოშობით ქართველი ივანე ბაწაძე ბულგარეთში, ჩეხი ვაცლავ ჩერნი, ფრანგები ფრანსუა გრაფენი, შარლ მერსიე, ჟოზეფ მოლიტორი, რობერტ ტრიომფი და სხვები.

ზედმეტი არ იქნება აგრეთვე გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის ზოგიერთი ცენტრი. მოსკოვში მუშაობს ენათმეცნიერი გიორგი კლიმოვი, რომელმაც გამოსცა წიგნები „ქართველური ენების ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (მოსკოვი, 1964), „კავკასიური ენები“ (1965) და სხვა. იქვე ქართველური ენების მასალებს იყენებს თავის ნაშრომებში ცნობილი ირანისტი ოსი ვასილ აბაევი.

ლენინგრადში ქართველოლოგიასთან არიან დაკავშირებული: ნინა ეგანტიევა, ლუდმილა შებელევა, რუსუდან ორბელი, ბაქოში — დილარა ალიევა, ერევანში — აკადემიკოსები — ფილოლოგი გურგენ სევაკი, ისტორიკოსი სურენ ერემიანი და სხვაგან სხვები.

ყველა უცხოელსა და სამშობლოს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეს, რომლებიც კი ქართული კულტურის საქმეს ემსახურებიან გულწრფელად, განურჩევლად ეროვნების, სქესისა და რწმენისა, ვუსურვებთ ბედნიერებას პირად ცხოვრებაში, დიდს წარმატებებს სპეციალობებში და მშვიდობის საქმისადმი სამსახურს საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. მათ ჯანმრთელი მრავალჟამიერ!

პროფესორი

იოსებ მეგრელიძე

ნეტარ არს...



ნიკოლოზ ჯანდიერი და იპოლიტე ვართაგავა

ნეტარ არს ადამიანი, რომლის სიცოცხლეც ხალხს ეკუთვნის, ნეტარ არს იმად, რომ უბადლოა ჯილდო და საზრდო სულისა, რასაც ადამიანს სიკეთის მადლი ანიჭებს.

სწორედაც იმ ნეტართაგანი გახლდათ საქართველოს დამსახურებული ექიმი ნიკოლოზ ჯანდიერი, რომლის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა სამედიცინო პარაზიტოლოგთა თბილისის სამეცნიერო საზოგადოების, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიკოსთა საბჭოს, მედიცინისა და ბიოლოგიის ისტორიის სექციის გაერთიანებული სხდომა, რომელიც ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლში გაიმართა.

სამაყო მამულიშვილის ღრმა პატივისცემით მოვიდნენ ამ მოსაგონარ საღამოზე მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი, მედიცინის მუშაკები, განსვენებულის მეგობარნი, პატივისმცემელნი...

სხდომა გახსნა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა გიორგი მარუაშვილმა.

მოკლე სიტყვა წარმოთქვა პროფესორმა მიხეილ შენგელიამ. ნიკოლოზ ჯანდიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი თამარ ვაჩნაძე, რომელმაც გულთბილად უამბო დამსწრე საზოგადოებას ნიკო ჯანდიერის უმწიკვლო შრომით საქმიანობაზე, მისი ბავშვობის წლებზე, სიღნაღში გატარებულ ყრმობაზე, სადაც ის დამეგობრებულა ჩვენს დიდ მეცნიერთან ივანე ჯავახიშვილთან და მის ძმებთან (ივანე ჯავახიშვილის მამა სიღნაღის საქალაქო ერთკლასიანი სკოლის დირექტორი ყოფილა), ლადო მესხიშვილთან, შემდგომში ცნობილ მომღერალ სვეტისლასთან, ვალოდია და კოტე მარჯანიშვილებთან, კოტე მაყაშვილთან და სხვებთან.

1894 წელს ნიკო ჯანდიერმა დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია დ ხარკოვის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ექიმი პროფესორ ორლოვის რეკომენდაციით ქირურგიის კათედრაზე დაუტოვებიათ მცირე ქირურგიის კაბინეტის გამგედ, ხოლო მალე თავისივე თხოვნით სამუშაოდ გადასულა კურსკის გუბერნიის სუჯანის მაზრის სოფელ კასტორნანსკში სამედიცინო უბნის ექიმად. აქ მუშაობის დროს ნიკოს ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე იგი სოფელ ველისციხეში იწყებს მუშაობას ქერძო ქსენონის გამგე-ექიმად. აღსანიშნავია მისი საზოგადო მუშაობა, რასაც იგი ეწეოდა — საკუთარი ხარჯებით გახსნა ხუთსაწოლიანი სტაციონარი, რის საარსებოდაც დროდადრო ფასიან სპექტაკლებსაც მართავდა. მისი თაოსნობით სოფელში კვირაში ერთხელ დარგების მიხედვით ეწყობოდა ლექციები, რომლებსაც სოფლის ინტელიგენტები კითხულობდნენ. მისივე თაოსნობით სოფელში გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფი და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი კეთილი საქმე და ზრუნვა უწილა მამულს ღირსეულმა შვილმა. ექიმმა ნიკომ მალე გაითქვა სახელი და 1904 წელს, თბილისის მაზრის გუბერნატორის წინაშე დავით სარაჯიშვილისა და თბილისის ეგზარხოსის შუამდგომლობით, სიღნაღის მაზრის ექიმად დაინიშნა.

მალე ნიკო ჯანდიერი კვალიფიკაციის ასამაღლებლად საზღვარგარეთ მიემგზავრება. ვენაში გაეცნო პროფესორების აიზელსბერგისა და ნოტნაგელის კლინიკებს, ბერლინში — პროფესორების ბირის და ბერგმანის კლინიკებს.

მოწოდებით ექიმი, ხალხის გულმხურვალე ქომაგი და ჭირისუფალი ნიკო ჯანდიერი თავდადებით იღვწის მკურნალის მძიმე, მაგრამ საპატიო საქმიანობით. მისი სიკეთით სავსე სახელი დღესაც ცოცხლობს მადლიერი ხალხის გულში: „ექიმ ჯანდიერს ავადმყოფისთვის წყალი რომ მიეცა და ეთქვა, წამალიაო, ისიც კი მოარჩენდა — იმდენად სწამდა ნიკო ექიმის წამლის ძალა“; ინგა ავალიშვილი იგონებს: „ერთხელ კოლა პაპამ მითხრა, რამდენჯერაც ავადმყოფი მომიკვდებოდა, იმდენჯერ მეც იმასთან ერთად გკვდებოდიო“...

ხალხს ახსოვს მისი სხვა სიკეთეც. მასწავლებელ კატო აღადაშვილის მოგონებით: „ბოდბის მონასტრის სემინარიაში ოთხი უღარიბესი მოსწავლე ექიმ ჯანდიერის ხარჯზე სწავლობდა“. ისიც ცნობილია, რომ ნიკო ექიმი სიღნაღის ქალთა და ვაჟთა საქალაქო სასწავლებლის 40 მოსწავლის ქირას იხდიდა. ალბათ ამიტომ განადიდა თავისი ექიმი ხალხმა და „პატარა ქრისტე“ შეარქვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი თანაგრძნობა და სამსახური რევოლუციონერების სასიკეთოდ. მას გაციმბირებისაგან გადაურჩენია ცნობილი რევოლუციონერის — მიხეილ დავითაშვილის ძმა, სოფელ მელაანის დეკანოზი, რომელსაც 1905 წელს სოფელში ნიკოლოზ მეორის მანიფესტი წაუკითხავს და განუცხადებია: „ხალხო, ნუ გჯერათ ამისი, მეფე ეხლაც ისე სტყუის, როგორც მუდამო“. ნიკოს სახრჩობელისგან უხსნია ცნობილი რევოლუციონერი ფორე ზედელაშვილი.

მოამაგე ექიმმა თავისი მშობლიური კუთხე 1921 წელს დატოვა, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა და გლეხკაცობა ახალი ცხოვრების გზას დაადგა, იგი თბილისს ჩამოვიდა.

ექიმი ნიკოლოზ ჯანდიერი თბილისშიც მისთვის ჩვეული მუყაითობით შეუდგა მუშაობას. ჯერ პარტახტიანი ტიფის ბარაკების გამგედ იყო, ინფექციების ლიკვიდაციის შემდეგ კი მუშაობდა სკოლების ექიმ-ინსპექტორად, ბოლოს კი თბილისის სამალარიო დისპანსერის ექიმ-ორდინატორად, სადაც მან პენსიაზე გასვლამდე დაჰყო... ამაგდარი მკურნალი 1964 წელს გარდაიცვალა 91 წლის ასაკში.

გულითადი სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ: აკადემიკოსი ალექსე ზურაბაშვილი, პროფესორი გაბო რატიშვილი, კომპოზიტორი სანდრო მირიანაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი თამარ ხელაშვილი, მხატვარი მერი მიქელაძე-ბაგრატიონისა. საღამოს თავიანთი გამოსვლით ელეფერი შეჰმატეს თბილისის პიონერთა სასახლის აღსაზრდელებმა... მოგონებით გამოვიდა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მიხეილ გიგიტაშვილი. გთავაზობთ მის ნაამბობს.

შეკვდავი პაციენტის მკურნალი


ახლო ნაცნობობა და მეგობრობა მაკავშირებს დიდ ქართველ ექიმთან ნიკოლოზ ჯანდიერთან, რომელსაც თავის დროზე ხელში სჭერია დიდი ქართველი მამულიშვილის ილია ჭავჭავაძის მაჯა და მოუსმენია სამშობლოს სიყვარულით აღელვებული მისი გულისცემა.

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენ ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება“.

დიდი ილიას გული დაიღალა სამშობლოზე ფიქრით და ზრუნვით, მკურნალი დასჭირდა... ის მკურნალობა ითავა მაშინ ახალგაზრდა ექიმმა ნიკო ჯანდიერმა.

ნიკო ჯანდიერი 65 წელი სტეტოსკოპით ემსახურებოდა ხალხს. ამასთან თავის დროზე არჩეული იყო სიღნაღის მაზრის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარედ, ამან საშუალება მისცა ახლოს გასცნობოდა ქართველ მოწინავე საზოგადოებას... დიდ ილიას. დიდი ილიას გარდა მას ჰყავდა ბევრი უკვდავი პაციენტი — სიყრმის მეგობრები ივანე ჯავახიშვილი, კოტე მარჯანიშვილი, ვანო და დავით სარაჯიშვილები, ვასილ ბარნოვი, ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ნიკოლაძე, სანდრო ინაშვილი და სხვანი.

...მხცოვანი ექიმის ნიკოლოზ ჯანდიერის სახელი ადრეც მქონდა გაგონილი, მაგრამ პატივი მქონდა შევხვედროდი, როგორც კოლეგა ერთ პაციენტ ქალთან კონსილიუმზე, სადაც ჩვენს გარდა მოწვეული იყო ნევროპათოლოგი პანო პონდოვი. კონსილიუმის შემდეგ ნიკო მე მივაცილე სახლამდე, საუბრით გამოვიარეთ რუსთაველის გამზირი და ქაშვეთის ეკლესიასთან შეკისკვნენთ, ნიკომ გამახსენა თბილისის ყოფილ ვაჟთა გიმნაზიის შენობისაკენ და თქვა: ალბათ აქ დაიდგმება ილიას ძეგლიო. ხანში შესულ ილიას გული ღალატობდაო, თუმცა კიდევ 8-10 წლის სიცოცხლე ეწერაო, მისმა ტრაგიკულმა ბედმა და დიდმა ერისკაცობამ იგი ხალხის გულში მარად ცოცხალი დატოვაო. ილია რთული პიროვნება იყო, ადვილად ვერ გაუბამდი საუბარს. ილიას ნათქვამი ოქრომჭედლის სასწორივით ზუსტი იყო, არასდროს გაუაზრებლად ენაზე მომდგარი სიტყვა არ დასცდებოდაო. გაიხსენა ილია ჭავჭავაძესთან პირველი შეხვედრაც: ილია ჭავჭავაძე პირველად ბავშვობაში, სკოლაში უნახავს, როცა დიდი მწერალი და მგოსანი ნიკო ცხვედაძის თხოვნით ვაჟთა გიმნაზიაში შეხვედრაზე მიუწვევიათ. მას ყმაწვილ ნიკოსათვის თავზე ხელი გადაუსვია, მიალერსებია. ნიკოს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა დიდი მწერლის ეს სითბო და მისი თაყვანისმცემელი გახდა. გავიდა დრო და ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლემ 1899 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი და ახალგაზრდა ექიმი საქართველოში დაბრუნდა. სიღნაღიდან ნიკო ხშირად ჩამოდიოდა თბილისში. ერთხელ ნიკო ექიმ ტიტე ქიქოძესთან საჭირო ხელსაწყოების შესაძენად ჩამოსულა. იქ შეხვედრია თავისი მასწავლებელი და მეგობარი ნიკო ცხვედაძე, რომელიც თურმე დანაღვლიანებული ყოფილა ილიას ავადმყოფობის გამო; სწუხდა, ზაფხულში თბილისიდან ყველა ექიმი საზაფხულოდ გავიდაო. ახალგაზრდა ექიმი ნიკო ჯანდიერი სიამოვნებით დათანხმებულა ილიას მკურნალობაზე და იმავე ეტლით წასულან საგურამოში, რომლითაც მერე საბრძოლოდ მგზავრობა მოუხდა ილიას. მეეტლეც იგივე ყოფილა. გზა თბილისიდან წიწამურზე გადიოდა. ვიწრო გზაზე ეტლს ხშირად ედებოდა ეკალ-ბარდები, მეეტლემ ცხენები შეასვენა წიწამურის ახლოს, ნიკო ცხვედაძემ გააფრთხილა ჯანდიერი — ილია მორიდებული ბუნებისაა, სხვისი შეწუხება არ უყვარს და ნუ ეტყვით, რომ საგანგებოდ მის გასასინჯად ჩამოხვედითო. „სოფლის ბოლოზე ხალხი შემოვიკრიბა, გოგო-ბიჭები ეტლს აედევნენ, ეზოში რომ შევიდით, პირქუში მოურავი შემოგვხვდა, რომელიც თურმე ილიას მკვლელობის მზადებაში მონაწილეობდა.



ხარკოვში ნიკო ჯანდიერი კოტე მარჯანიშვილმა მოინახულა, აჩუქა თავისი სურათი, რომელსაც მეორე მხარეზე წააწერა: „კოლა, არ დაივიწყო შენი აქაური ლაპარაკი და სურვილი სოფელში სამსახურისა. შენი კოტე მარჯანიშვილი“.

ჩვენ არ მოგვერიდა, მეეტლე რატომღაც დატუქსა. აივანზე ილიას ახლობლები გამოგვეგებნენ, ილიას დიშვილი კოტე აფხაზი, მისი მამა ნიკოლოზი, კოტეს ცოლი ლიზა საგინაშვილი, ილიას მეუღლე ოლღა და ვიღაც უცხო სტუმრები. მცირე მოკითხვის შემდეგ ნიკო ცხვედაძემ შემოიყვანა ილიას კაბინეტში, სადაც მისი საწოლი იდგა. ილია ბალიშზე იყო მიწოლილი და სტუმრებს ესაუბრებოდა. სტუმართა შორის იყო არტურ ლაისტი და გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი ველიჩკო თავისი დით. შესვლისთანავე ნიკო ცხვედაძე დამხვდური მიესალმა, შემდეგ ილიას საწოლთან მიმიყვანა და ჩემი თავი გააცნო: საგურამოს ეწვია თბილისის ვაჟთა სათავადაზნაურო გიმნაზიის ყოფილი მოსწავლე, ხარკოვის უნივერსიტეტდასთავრებული ახალგაზრდა ექიმი ნიკოლოზ ჯანდიერი, მას სურს საგურამოში ქსენონის გახსნა და ამ საქმეში თქვენი დახმარებაა საჭიროო. ილიამ სიპაოვნებით შეიმოწმედა და ღიმილით მომმართა — „დაბრძანდით, ყმაწვილო, მე ყოველსრივ დაგეხმარებით, შეიკაზმულ ცხენსაც მოგართმევთ“. გასინჯვა რომ შეეთავაზებინა, ილია ნიკო ცხვედაძეს მიუბრუნდა და მადლიერებით უსაყვედურა: „ჩემს გასასინჯად ჩამოიყვანე?!“ ხელ-პირი დავიბანე; სტუმრებმა დაგვტოვეს, ილიას გასინჯვას შევუდექი. გოლიათივით იწვა ლოგინში. მისი წისქვილის ბორბალივით ფართე მკერდი ჭაღარა თმით იყო დაფარული, დიდი მოკრძალების გამო, ალბათ, უხერხულობა შემატყო და მომმართა: „ყმაწვილო, მე თქვენი პაციენტი ვარ და თქვენ ჩემი მბრძანებელი. ნუ გერიდებათ, გამსინჯეთ ისე, როგორც ყველა მოკვდავი“. სიმსნეები მომემატა. ილიას გული თუმც ოდნავ ყრუდ, მაგრამ მაინც გულუნებდა. მაჯა წუთში 60 დარტყმაზე ნაკლები იყო, რითმი დარღვეული ჰქონდა. ილიას აწუხებდა გულის და სისხლძარღვთა სკლეროზი, წნევის აწევის ნიშნები და გულის კუნთის ანთების მოელენები ჰქონდა. როგორც ილიას ბიოგრაფიიდან ჩანს და სათანადო საუთებიც არსებობს, ილიამ პეტერბურგში სწავლას თავი დაანება ავადმყოფობის გამო — აწყინა ჩრდილოეთის ჰავამ, „სისხლს იღებდა გულიდან, ურჩევდნენ სამხრეთის ჰავას“.

გასინჯვის შემდეგ ხელი დამაბანინეს და ილიას სასთუმალთან ახლოს მაგიდასთან ჩამოვჯექი, სტუმრები შემოვიდნენ, ილია დაინტერესდა ჩემი ვინაობით, ხარკოვის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობით, შემაქო, რამდენიმე ქართნაური მითხრა და რუსულად სტუმრებს მიმართა, რომ ჩვენ ერს ეხლა ასი ამნაირი ექიმი სჭირდებაო. შემდეგ იმედიანად ჩაილაპარაკა, დრო დადგება, შეიძლება ათასიც გვყავდესო, მაგრამ მე ამას ვეღარ მოვესწრებიო. ილია ნელა ლაპარაკობდა, მისმა ოპტიმიზმმა გამაოცა... და ნიკო ჯანდიერმა აღფრთოვანებით წარმოთქვა:

„აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!“

რეცეპტი გამოვწერე და მცხეთაში მხლებელს გაატანეს. მივეცი სათანადო რჩევა-დარიგება, თან ვისარგებლე ჩემი უფლებით და სტუმრებს განვუცხადე — ავადმყოფი დაიღალა, სიმყუდროვე უნდა მეთქი.

აივანზე რომ გამოვედით, ნიკო ცხვედაძის თხოვნით ოლღაც გავსინჯე და სათანადო რჩევა-დარიგება მივეცი“...

ნიკო ჯანდიერი ილიას ოჯახში ოთხ დღეს დარჩენილა, იძინებდა ილიას ოთახის გვერდით, აკვირდებოდა დანიშნული წამლების მოქმედებას, უსინჯავდა გულისცემას და მაჯას. მეოთხე დღეს ილია ფეხზე წამომდგარა, ექიმი აივნამდე მიუცილებია და იმ იმედით დაშვიდობებია, რომ ნიკო მისი ოჯახის მეგობრად დარჩებოდა (ნიკოს ჰონორარის მიღებაზე სასტიკი უარი განუცხადებია).

...ნიკო ჯანდიერს გაზეთის საშუალებით გაუგია, რომ თბილისში გამოჩენილი ექიმი, კიევის უნივერსიტეტის პროფესორი ვაგნერი ჩამოსულა. ტიტე ქიქოძის დახმარებით ვაგნერი ილიას კონსილიუმზე მიიწვიეს. ვაგნერმა ახალგაზრდა ექიმს ნიკოლოზ ჯანდიერს დაავალა ოზი დაუდასტურა.

მას შემდეგ დიდი ილია ყოველთვის მოწიწებით ეგებებოდა აღორძინებული ქართული მედიცინის ერთ-ერთ სასიქადულო მიკვლესა და ჭეშმარიტად საამაყო მამულიშვილს ნიკოლოზ ჯანდიერს.

მიხეილ გიგიტაშვილი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

სიმღერა პასპორტს არ იკარგება!

შემოქმედის სიცოცხლე ზოგჯერ მეტეორსა ჰგავს — გაიელვებს და ნათელ კვალს დატოვებს. ადამიანთა სხვენას კი მისი ხალასი ბრწყინვალება ხანგრძლივად შერჩება... იყო ქართული ესტრადის მშვენება — ქეთო ჯაფარიძე.

...რუსთაველის გამზირზე, რესტორან „ქიმერიონში“, საღამოობით მუშები იკრიბებოდნენ. გაიხედავდით, და შეიოანათებდა ღვთაებრივი, ცისფერთვალებიანი ტიციან ტაბიძე. გულზე წითელი მიხაკი ჰქონდა მიბნეული. აგერ არტისტული და ახოვანი პაოლო იაშვილი გამოჩნდებოდა. გაშლიდა გრძელ მოხდენილ მკლავებს და ესალმებოდა დიდსა და პატარას. წმინდანივით ხალასი ჭაბუკი გალაკტიონი მიუჯდებოდა სუფრას, სადაც წითელი ღვინო, მტკვარში დაჭერილი ცოცხალი, შოთი პური... და კეთილი გული ნატურმორტივით ელაგა.

გარეთ ერთი ამბავი იყო: სპექტაკლი-დღესასწაული დამთავრებულიყო და ხელოვნების ტაძარში განწმენდილ მაყურებელს კოტე მარჯანიშვილი ხელში აეყვანა... მუზების ყველა გზა „ქიმერიონისაკენ“ მიდიოდა... კაფეში შემოვიდოდა გერიკო ანჯაფარიძე — სიფრიფანა და ნაზი. იქვე ცეცხლოვანი, შავგვრემანი თამარ ჭავჭავაძე გამოჩნდებოდა, გვერდს უშანგი ჩხეიძე რომ უმშვენებდა. მერე პარიზიდან ახლადდაბრუნებულნი: დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი შემოაბიჯებდნენ დარბაზში. სადღეგრძელო ექსპრომტად ლექსად ითქმოდა. ვინ მონოლოგს წარმოთქვამდა, ვინ ფორტეპიანოს მიუჯდებოდა და... იმ ერთ საღამოს რესტორანში სტუმრად იყო ცნობილი ლენინგრადელი გასტროლიორი მსახიობი ე. შიხარევა... კოტე მარჯანიშვილმა ინება და ქეთო ჯაფარიძეს უხმეს. მეგობრებმა სახელდახელოდ მორთეს, ვიღაცამ გიშრის თმა თეთრი ვარდით შეუმკო — მაღალი, ლამაზი, ჭეშმარიტად ქალური, ყველას ყურადღებით ოდნავ შემკრთალი წამოიმართა.

როგორ იმღერა მაშინ ქეთომ, რა ჯადო ჰქონდა ხმაში, რამდენი ფერი და ბრწყინვალება, თითოეული ფრაზა მკაფიოდ, ლაღად ისმოდა, მკერდისმიერი ბგერები მოეფინა დარბაზს. „იკაშკაშე, იკაშკაშე, ჩემო ვარსკვლავო“ შეასრულა. შიხარევა გაოგნებული იყო. აღტაცებას ბოლო არ უჩანდა. აღარ ემვებოდნენ. რამდენ ქართულ ტალანტს მოეყარა თავი მაშინ „ქიმერიონში“. ერთ დიდ ქვეყანას ეყოფოდა თავმოსაწონებლად.

ქეთო ჯაფარიძის ნიჭი სულ მალე ჯერ მოსკოვსა და ლენინგრადში, შემდეგ უკრაინაში, ბელორუსიაში, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში გამომზეურდა. იგი ყველგან შეიყვარეს და ფირფიტები მისი შესრულებით მთელ ქვეყანას მოეფინა... მაშინ საბჭოთა ესტრადაზე ორი დიდი ქართველი მომღერალი მღეროდა: თამარ წერეთელი და ქეთო ჯაფარიძე. სხვადასხვა მანერის, ტემპერამენტის შემსრულებლებს ერთი საერთო ჰქონდათ — ცხოველმყოფელი ქართული ტალანტი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ შეხვედრით გავიცანი გადამდგარი პოლკოვნიკი, რომელიც ურალიდან თბილისში ქეთო ჯაფარიძის სანახავად ჩამოსულიყო და შესანიშნავი ქართველი მომღერლის მისამართს ეძებდა. სწორედ იმ ცოტა ხანში წავიდა ჩვენგან ქეთო ჯაფარიძე, პოლკოვნიკმა კი ამის შესახებ არაფერი იცოდა. როცა შეიტყო მისი გარდაცვალების ამბავი, შეწუხდა. ძველ ჯარისკაცს ცრემლიც კი მოადგა თვალზე. მერე მიამბო, როგორ უყვარდათ, როგორ აფასებდნენ მას. მოიგონა ომამდე თურმე შორეულ აღმოსავლეთში, ზედ იაპონიის საზღვართან მსახურობდა. ერთხელ კავალერისტთა ლეგიონს ერთკვირიანი მძიმე სამხედრო წვრთნა ჰქონოდა და დაღლილები, ჭანცაფწყვეტილები ნაწილში დაბრუნებულიყვნენ, მას კი ვარჯიშის დროს ცხენი წაქცეოდა და მაგრად დაქექილიყო. ხელიც ელრძო და ტკივილებისაგან ფეხზე ძლივს იდგა. ამ დროს შეეტყოთ, რომ მათ კლუბში საღამოს ქეთო ჯაფარიძე იმღერებდა. — პოლკოვნიკი იღიმებოდა: კონცერტზე მთელი ლეგიონი უკლებლივ გამოვცადდით, სად გაქრა კავალერისტებიხ დაღლა და უილაჯობა. ქეთოს სიმღერა მალამოსავით დაედო ჩემს ტკივილებს. კლუბს ცუდი აკუსტიკა ჰქონდა და, მოგეხსენებათ, მაშინ არც მიკროფონი იყო, მაგრამ მისი ხავერდოვანი ხმა პირდაპირ სულში გვწვდებოდა. მერე კიდევ, ერთხელ ლენინგრადში და ორჯერ მოსკოვში მოვუსმინე მას. ომი დაიწყო და ქეთო ჯაფარიძე ჩემი თვალთახედვიდან გაქრა. სულ ვფიქრობდი, კიდევ მენახა ეს დიდებული მომღერალი და აი... დავიგვიანე, — სევდიანად თქვა პოლკოვნიკმა...

აღტაცებით ხვდებოდნენ ქეთო ჯაფარიძეს მაშინაც, როცა ომის დროს, სანგრების ახლოს, სახელდახელოდ გამართულ ესტრადაზე მღეროდა, მღეროდა ჯარისკაცებისათვის, რომლებსაც ბრძოლის ველიდან შინ დაბრუნება აღარ ეწერათ, მათთვის, ვისაც ბრძოლით უნდა ევლო ომის მძიმე გზებით თვით ბერლინამდე. დაიღუპა ქეთო ჯაფარიძის ბევრი მეგობარი, ახლობელი. ქეთო ბრუნდება საქართველოში. ამ დროს გადაიღეს იგი ს. დოლიძისა და დ. რონდელის ფილმში „ჯურღას ფარი“. გახსოვთ, როგორ მღეროდა ბორანზე ფრონტზე მიმავალი მეომრებისათვის „მშვიდობით, საყვარელო ქალაქო“...

ამ დღეებში გამართულ ქეთო ჯაფარიძის ხსოვნის საღამოზე ხელოვნების მუშაკთა სახლში, რომლის მოწყობა ითავა და რომელსაც ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მერაბ თაბუკაშვილი, მოგონებებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები გერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი, სიკო დოლიძე, ესტრადის ოსტატები მარია მირონოვა, ალექსანდრე მენაკერი, ქეთო ჯაფარიძის რეპერტუარის სიმღერები შეასრულეს და კონცერტში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა მერი ნაკაშიძემ, ნადეჟდა ხარაძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ნანი ბერგვაძემ, შოდია გონგლიაშვილმა, მომღერალმა მედეა ძიძიგურამა და სხვებმა.

საღამოს სტუმრებს უთუოდ დიდი სიამოვნება მიანიჭა ქეთო ჯაფარიძის ჩანაწერების მოსმენამ: „მე თქვენ ვერ გეტყვით“, „გახსოვდეთ“, „ნათელი მთვარე“, „მე მახსოვს ვალსის ხმა მშვენიერი“ და უნიკალურმა კინო და ფოტოკადრებმა.

სიცოცხლის დაისი იოსებ გრიშაშვილმა და ქეთო ჯაფარიძემ ერთმანეთს დაუკავშირეს. პოეტს სიჭაბუკე დაუბრუნდა. თვალმოხუჭული უსმენდა თურმე, როგორ მღეროდა ქეთო „ჭალო, გნახე ფეხშიშველი“... „ჩემი დასტაქარი ხარო“ — ეუბნებოდა იოსები. მერე პოეტი თავის ლექსებს უკითხავდა ქეთოს, გაბმული, მთრთოლვარე ხმით, თითქოს მღეროდა...

ნანა ჯაფარიძე

ო ჯ ა ხ ი

ჩვენი უფროსი თაობის ადამიანებს ბევრს ესხომება თბილისის საზოგადოების თვალსაჩინო წევრები — ძმები ჯაფარიძეები, ექვსი ერთად. ისინი ცნობილი მასწავლებლის მალაქია ჯაფარიძის შვილები არიან, ჩვენი ქვეყნის განახლებული ცხოვრების სხვადასხვა დარგში მომუშავენი, მაგრამ ერთი მამულიშვილური გრძნობით — თავისი ოჯახისა და თავისი მშობლიური ქვეყნის სიყვარულით შეკრულნი და შედუღებულნი. მათგან რამდენიმე უკვე აღარ არის, მაგრამ ვინც დარჩნენ, ყველანი ისევ ისეთი მგზნებარებით ემსახურებიან ქვეყანას — ყველაზე უმცროსი იმ ექვსთაგან, დღეს საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე ხომ საყოველთაოდ ცნობილია ჩვენს ქვეყანაში.

ახსოვთ უფროსი თაობის ადამიანებს ბედის ირგვლივ მოპაექრე ახალგაზრდობას და ინტერესით ვუსმენდით მათს დაუსრულებელ კამათს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ჯაფარიძეების ბინა მოსკოვში მოწინავე ქართველი სტუდენტების ნამდვილი შტაბი იყო იმ დროს, და არც გასაკვირია, რადგან ისინი ფართო დიაპაზონის ახალგაზრდები იყვნენ, სტუდენტური საკრებულოს ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, რუსულ და ქართულ გაზეთებში წერდნენ და საქმიანი დამოკიდებულება ჰქონდათ როგორც იქაურ ქართველ მოღვაწეებთან, ისე მოწინავე რუს ოჯახებთან“.

საზოგადოებრივ საქმიანობას ძმეებმა ადრე მოჰკიდეს ხელი. პედაგოგი მამის გავლენით ისინი ჯერ კიდევ მოსწავლეობის პერიოდში ჩაებნენ სასცენო მუშაობაში, პატარა-პატარა ვოდევილებს დგამდნენ, პატარა დასიც ჩამოაყალიბეს; უფრო მოგვიანებით კი მუშაობა დაიწყეს ონის სცენისმოყვარეთა დასშიც, რომელიც სოფლებშიც დგამდა სპექტაკლებს; ამ გარემოებამ საფუძველი მისცა ჩვენს ცნობილ კომპოზიტორს დიმიტრი არაყიშვილს, ამ სპექტაკლების მნახველს რაჭაში, ხუმრობით ეთქვა მის მეგობარ ძმებზე: „ჯაფარიძეები ხალხის განათლების მიზნით ორღობეშიც კი დგამენ რაჭაში სპექტაკლებსო“.

ძმების თეატრალური მოღვაწეობის ამ პერიოდს პროფესორი დიმიტრი ჯანელიძეც იხსენებს: „კარგად მახსოვს,—წერს იგი თავის მოგონებაში,—როდესაც არდადეგებზე ახალგაზრდა სტუდენტები გრიშა და ლადო დაბრუნდებოდნენ მოსკოვიდან, ონს სიცოცხლე ემატებოდა, ფრთას ისხამდა ონის სცენისმოყვარეთა თეატრი: მაშინ უჩა და მე პატარები ვიყავით და კულისებს არ ვშორდებოდით“.

ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ ძმებმა, იმ დროს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებმა, ხელი მოჰკიდეს მის ნაწარმოებთა რუსულ ენაზე თარგმნას, რათა მხატვრული ლიტერატურის საშუალებით მიეწოდებინათ რუსეთის ფართო საზოგადოებისათვის ნათელი წარმოდგენა ქართულ ყოფა-ცხოვრებაზე, ქართულ ლიტერატურასა და კულტურაზე, რის საფუძველზეც 1909 წელს გამომცემლობა „პოლუმა“ მოსკოვში დაბეჭდა და გამოუშვა პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით მათი გადათარგმნილი „გლახის ნაამბობი“, ჭაბუკი ავტორის ეს პირველი წიგნი რუსეთში; შემდეგ მას მოჰყვა ყაზბეგის მოთხრობები, აკაკის „ბაში აჩუკი“ და სხვა.

„ლადო და გრიშა ჯაფარიძეების სახელოვანი ძმის უჩა ჯაფარიძის მერხის ამხანაგი ვიყავი, — იგონებს იგივე პროფესორი დიმიტრი ჯანელიძე ჯაფარიძეების ცხოვრების ამ პერიოდს. — ამდენად მალაქია ჯაფარიძის სახლის კარები ჩემთვისაც ღია იყო. იქ პირველად ვნახე რუსულად დაბეჭდილი „უნივერსალური ბიბლიოთეკის“ გამოცემანი — ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობები, რომლებიც ლადომ და გრიშამ თარგმნეს და ამით ქართული მწერლობის საქართველოს გარეთ გატანის საქმისა და პროპაგანდას დიდი სამსახური გაუწიეს“.

ჯაფარიძეების სტუდენტურ პერიოდს ეკუთვნის აგრეთვე მათი თვალსაჩინო მუშაობა სახვითი ხელოვნების დარგში, რომლითაც გატაცებული იყვნენ ბავშვობიდან მამის გავლენით და რომელიც ქუთაისის რეალურ სასწავლებელში გააღრმავეს. სტუდენტობის პირველ წლებში მათ მოსკოვში დახატეს კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილის სურათი, რომელიც შემდეგ 1916 წელს გაზეთ „საქართველოს“ სურათებიან დამატებაშიც დაიბეჭდა. ხოლო 1912 წელს ძმებმა შექმნეს თავიანთი ფართოდ ცნობილი „შოთა რუსთაველი“, რომელმაც ძმებს დამჯერებლად გაუთქვა სახელი ქართველ საზოგადოებაში. გენიალური პოეტის სახე მათ წარმოადგინეს ავთანდილისებური ჭაბუკის მსგავსად, სრულიად ახალი ინტერპრეტაციით. ეს პორტრეტი, რომელიც პირველად გაზეთ „თეატრში“ იყო მოთავსებული, ხშირად იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და პოპულარობაც მოიხვეჭა. ეს იყო პირველი ცდა რუსთაველის სახის არა ტრადიციულად, არამედ სხვა ასპექტში და სხვა ასაკში წარმოსახვისა. აღსანიშნავია, რომ ძმები მუდამ ერთად მუშაობდნენ და დიდი პოპულარობა ხვდა ხვრეთვე მათ მიერ შესრულებულ ილია ჭავჭავაძის პორტრეტსაც. ის მოთავსებული იყო გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ და ხვრეთვე გაზეთ „პრავდაში“, რომელიც დიდი მწერლის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.

მოსკოვის უნივერსიტეტში ყოფნის დროს ძმები ჯაფარიძეები აქტიურად მონაწილეობდნენ სტუდენტურ ცხოვრებაში, 1910 წელს ისინი დაესწრნენ ლევ ტოლსტოის დაკრძალვას და სხვა მოწინავე რუს სტუდენტებთან ერთად თავიანთი მხრებით ზიდეს მწერლის ცხედარი რკინიგზის სადგურიდან „ხანძთა პოლიანამდე“.

1914 წელს ვლადიმერ ჯაფარიძე დიდი სამოციანელის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის მიწვევით ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად იწყებს მუშაობას.

ვლადიმერ ჯაფარიძე 1920 წელს ფოთიდან თბილისში გადმოდის, სადაც მას იწვევენ საქართველოს რკინიგზის სამმართველოს სასწავლო ნაწილის უფროსად, ხოლო 1938 წელს მუშაობას იწყებს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში, რომელიც იმ წელიწადს გაიხსნა და იქ 3 წელიწადს მოღვაწეობს პენსიაზე გასვლამდე. გრიგოლი კი ჯერ აფხაზეთში მუშაობდა ოჩამჩირის გიმნაზიაში და სოხუმის ტექნიკუმში დირექტორის თანამდებობაზე, ხოლო 30-იანი წლებიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის კათედრაზე მოღვაწეობდა.

ძმები ჯაფარიძეები იშვიათი ერთსულოვნებითა და პატრიოტული აღზნებით მუშაობდნენ მშობლიური ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ძმებს დაუფასებათ ამაგი.

ამას წინათ თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლის ლიტერატურულმა გაერთიანებამ მოაწყო მისი უხუცესი და საპატიო წევრის ვლადიმერ ჯაფარიძის დაბადების 85 წლისთავის აღსანიშნავი საღამო, სადაც ბევრი თბილი სიტყვა ითქვა ბუბერაძის უანგარო, კეთილშობილი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ და სადაც მხურვალედ მიესალმნენ გაერთიანების წევრები, მწერლები, პოეტები, ახლანდელი დამსწრენი, აკადემიკოსები აკაკი ბაბიძე, დავით ლორთქიფანიძე, პროფესორები დიმიტრი მგელაძე, დიმიტრი ჯანელიძე, ხელოვნებისმცოდნე შალვა კვასხვაძე, მწერალი რევაზ ჯაფარიძე, კრიტიკოსი ვახტანგ წულუკიძე და სხვები.

დაჯილდოებული პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იუბილე გადაიქცა ძმები ჯაფარიძეების იუბილედ.

ნელი ჩაჩავა



ქეთო ჯაფარიძე



ძმები ვლადიმერ (მარცხნივ) და გრიგოლ ჯაფარიძეები

ჯაფარიძეების სახელოვანი გვარიშვილნი

ვოი-ვო, გურამ!



სადღეგრძელო



გამოცემლობა „მერნის“ საგამოფენო დარბაზში, იმ სალონში, სადაც ცნობილი მხატვრების გამოფენები ეწყობა ხოლმე, ჟურნალისტ გურამ თიკანაძის ფოტონამუშევრების გამოფენა გაიმართა.

ვაჟკაცურმა, ალალმა ღიმილმა შემომანათა. რაო, ეს ღიმილი ფოტოსურათებს შერჩა მხოლოდ? არა, ეს ღიმილი დაუვიწყარია ყველასათვის, ვინც ამ შესანიშნავ ადამიანს იცნობდა.

ეს ფოტოშედევრები მისი დიდი შემოქმედების მხოლოდ ერთი ნაწილია: „მოხუცის პორტრეტი“, „მარწყვები“, „ქალი—საუკუნე“ და „ოლე“ იმის უფლებას გვაძლევს, რომ სიამაყით ვილაპარაკოთ ჩვენი თანამემამულის დიდ ნიჭიერებაზე. გურამ თიკანაძე ჭეშმარიტი მხატვარი იყო, ფოტოსაქმე მხატვრის ხელოვნებამდე, პოეზიამდე აღამაღლა. მის შემოქმედებას იცნობდნენ მთელ საბჭოთა კავშირსა და უცხოეთში.

გურამ თიკანაძის დიდი მეგობარი, ჩვენი ძვირფასი პოეტი მურმან ლებანიძე ესე აფასებს მის საქმეს: „გურამ თიკანაძე ქართული ფოტოხელოვნების სათავეებთან დგას და მისი შემოქმედება ყოველთვის საინტერესო იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის“.

ქართულ ფოტოჟურნალისტიკაში გურამ თიკანაძე სიახლის მაძიებელი და დამნერგავია.

როცა ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, სპეციალურ საგანში — „ფოტოჟურნალისტიკაში“ გვეკითხებოდა გურამ თიკანაძისეული მეთოდები. ლექტორი, თვითონაც შესანიშნავი ფოტოჟურნალისტი სანდრო მამასახლისი, გურამს აყენებდა ყველაზე წინ და ეს იყო საყოველთაოდ აღიარებული აზრი.

გურამ თიკანაძის ესეთი აღიარება მარტო მისი ნიჭიერებით არ აიხსნება. გურამი იყო მშრომელი, ბეჯითი ჟურნალისტი, რომელიც ერთი ლამაზი ფოტოსათვის ცხრა მთას გადაივლიდა.

მთები...

შემთხვევით როდი ვახსენე მთები. როგორც ფოტოხელოვანი იყო დიდებული, ესევე მთამსვლელობაშიც გამორჩეული გახლდათ გურამ თიკანაძე. მისი ნამუშევრების ამ გამოფენაში მთის თემა ჭარბობს.

სვანეთი უყვარდა გურამს. სვანებიც, როგორც იტყვიან, ხელისგულზე ატარებდნენ ვაჟკაცს, რომელიც სტუმარი კი არა, ღვიძლი შვილი იყო მაღალი მთებისა.

იმ საბედისწერო აგვისტოს შხარას ასაღებად ემზადებოდა თურმე გურამი. ამბობენ, ღელავდაო. სვანეთის თითქმის ყველა მიუვალ მწვერვალს აჩნდა მისი წრიაპების ნაკვალევი, ეხლა კი შხარაზე უნდა ასულიყო და ღელავდაო. ცნობილ მთამსვლელს სვან ვაჟკაცს ბექნუ ხერგიანს რჩევას ეკითხებოდა. ბექნუს კი არ ემეტებოდა გურამი მთებში სახეტიალოდ, იცოდა გულისხმიერმა ადამიანმა, რომ მის გაზრდილს უფრო დიდი საქმეც ჰქონდა, მაგრამ ამბობენ, მთისადმი სიყვარული მარადიულიაო. მაშ რაღა გაემტყუნებოდა გურამ თიკანაძეს, სიყვარულისა და ერთგულებისათვის დაბადებულ ვაჟკაცს.

შხარა აიღო... მერე კი...

„გურამ თიკანაძეს შხარა აუღია,
რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა:
საკუთარ ხელით პალო დაუგია,
საკუთარ პალოზე მომწყდარა...
ცოცხლისგან საყვედური აუგია —
თოკი ერთადერთი ჩაუბია —
თავი სიმამაცით წაუგია,
ვოი-ვო, სიმამაცით მომკვდარა“.

ეს გურამ თიკანაძის მეგობრისა და დამტირებლის მურმან ლებანიძის ლექსის ნაწილია. ჩვენც ამრიგად დავამთავრებთ გურამ თიკანაძეზე თხრობას. უკეთ ვერც ვიტყვით, ან რაღა ვთქვათ მეტი.

„თეთრულდმა რა მოგცა? უშბაზე რა გჭონდა?
შხარაზე რა გინდოდა, გმირო?!
ვო, გურამ, რამხელა ბექები დაგჭონდა —
რამ დაგაპატარავა, შვილო?!“

ლაშა გარეჯელი

გთავაზობთ გურამ თიკანაძის რამდენიმე ფოტოს.



სვეტიცხოველი



დედა-შვილობა



უშბაზე



მაღლა, ანძაზე



ზღვის ბილიკი

ქართული ცეკვის ჯადოქარი



ჯანო ბაგრატიონი

ქართული ცეკვა დიდი ხანია გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს, მას მთელი მსოფლიო უკრავს ტაშს. „კარგია!“, „მსგავსი რამ ჩვენ არ გვინახავს!“, „ქართველები ცეკვის ჯადოქრები არიან!“—ამბობენ რუსები და უკრაინელები, ფრანგები და ინგლისელები, პოლონელები და გერმანელები, იტალიელები და ესპანელები...

ქართული ცეკვის მადლი ქართველ კაცზე უკეთ არავინ იცის. სწორედ ამიტომაც არის, რომ ვისაც თავისი შემოქმედება, თავისი ნიჭი და უნარი ცერებზე შემდგარი ჰაბუკებისა და ტანწერწეტა, მონარნარე ქალიშვილების განსწავლისა და აღზრდისათვის მიუძღვნია, ვაფასებთ და პატივს ვცემთ. მათ შორის, ვინც ქართული ცეკვის დიდ მოამაგედ მიგვაჩნია, ერთი პირველთაგანი ჯანო ბაგრატიონი გახლავთ.

...ოჯახში სიმღერა და ცეკვა უველამ დიდებული იცოდა. ქართული ჩოხა მასაც ძალიან დამშვენდა და ჯერ კიდევ ჰაბუკმა იგრძნო, რომ სიმღერისა და ცეკვის გარეშე სიცოცხლე არ შეეძლო. 1933 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მიიწვიეს სოლისტად. ცნობილმა ქორეოგრაფმა, საქართველოს სახალხო არტისტმა დავით ჯავრიშვილმა დაულოცა ხელოვანის დაუღალავი შრომითა და ახლის ძიებით აღსავსე გზა... „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „დარეჯან ცბიერი“, „ქეთო და კოტე“ — აი სპექტაკლები, რომლებშიც ჯანო უველასგან გამოსარჩევი ხელწერით ასრულებდა ქართულ ცეკვებს. ბუნებრივ ნიჭსა და მომხიბლავ გარეგნობას ქართული ცეკვის ღრმად ჩაწვდომა, მისი წარსულის შესანიშნავი ცოდნაც დაემატა და ხელოვანიც მაყურებლის სიყვარულით ლაღობდა.

მოცეკვავე ჯანო აღმზრდელმა ჯანო ბაგრატიონმა რომ შესცვალა, მოღვაწეობის პირველსავე წლებში ისეთი გრანდიოზული ქორეოგრაფიული ტილოები წარუდინა მომთხოვნ მაყურებელს, რომ უველამ ერთად იგრძნო — ქართული ცეკვა მსოფლიო ხელოვნების საგანძურისაკენ მიიკვლევდა გზას...

ჯანომ გააცოცხლა და ახლებურად ჩაბერა სული მივიწყებულ ეტიუდებს. შექმნა და დადგა ცეკვები „ფარიკაობა“, „სამაია“, „მოხეური“. იყო პირველი, ვინც მაყურებელს უჩვენა დარბაისლური და ღრმა შინაარსის ცეკვა „საქორწილო“. უყურებ თუ როგორ დინჯად მიაბიჯებენ ხმლებით გადაჯვარედინებულ საბედნიეროლაიაში ნეფე-პატარძალი, როგორ ტეხავს თეფშს ნეფე და სცენაზე დაღვრილ სითბოსა და სიყვარულს შენც უერთდები, შენც ქორწილის მონაწილე ხდები... შესანიშნავად გააცოცხლა თავის დადგმებში ჯანო ბაგრატიონმა ორბელიანის სატრფიალო ლექსებით, განუმეორებელი ჰანგებით დამშვენებული ძველი თბილისი.

ბევრი, ძალიან ბევრი გააკეთა ღვაწლმოსილმა ქორეოგრაფმა ქართული ცეკვების თვითმყოფადობის, მისი ტრადიციების სიწმინდისა და ურთულესი ილეთების კიდევ უფრო დახვეწად, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმოქმედი წრის ხელმძღვანელმა, შემდეგ კი საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ქორეოგრაფმა.

ჯანო ბაგრატიონის მადლიანი ხელი ქართული ცირკის შექმნასაც მიწვდა. ის იყო პირველი, ვინც ქართული ჯაზი შექმნა. ამ მრავალმხრივი ხელოვანის ხმა, მის მიერ შესრულებული სიმღერები შეიყვარა მაყურებელმა და მეხსიერებას სასიამოვნო მოგონებად შემორჩა.

ეხლახანს ჯანო ბაგრატიონს ქართველმა ხალხმა 60 წლის იუბილე გადაუხადა. სავარძელში იჯდა ახოვანი ტანის, წლებისაგან ლამის ხელუხლებელი, სახეზე ღიმილდაფენილი იუბილარი. მისი ხელოვნების თაყვანისმცემლებმა მრავლად მიართვეს ყვავილები, ბევრი თბილი სიტყვა უთხრეს და მრავალი წლის სიცოცხლე უსურვეს.

იყო ცეკვა და სიმღერა. ცეკვავდნენ ნორჩები, სახელმოხვეჭილი სოლისტები და... ისინი, ვინც ათეული წლების წინათ ჯანოსთან ერთად ამშვენებდნენ სცენას.

მიკროფონთან თვით იუბილარი მივიდა. დუდუკების თანხლებით რამდენიმე სიმღერა შეასრულა, ჩამოუარა კიდეც... ოვაციებს ბოლო არ უჩანდა, საქართველოს სახალხო არტისტმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მისი შემოქმედება ესოდენ დააფასა და განაცხადა — კვლავაც ქართული ხელოვნების მსახური ვარო...

დიდხანს გეცოცხლოს, ღვაწლმოსილი დიდოსტატო, ქართული ცეკვის ჯადოქარო!

რევაზ მაჭავარიანი

სპორტი

1973 წლის ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო

ფეხბურთი, ხელბურთი, წყალბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთი... ეს მხოლოდ ბურთი! არის კიდევ ჰიდაობა და კრივი, ძალოსნობა და ტანვარჯიში, მძლეოსნობა და ფარიკაობა, მშვილდოსნობა და მთამსვლელობა...

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, რომელ ერთს ვუთხრათ — შენ იყავ 1973 წელს რჩეულიო...

დიახ, წლეულს უხვად მოიხვეჭეს ქართველმა სპორტსმენებმა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები საბჭოთა კავშირის, ევროპისა თუ მსოფლიოს პირველობებზე და როცა სადაც არის გვეწვევა ახალი, 1974 წელი, გვინდა ერთხელ კიდევ გავიხსენოთ, ვინ სად ისახელა თავი. ვთქვათ, მოგებას წაგებაც რომ ახლდა, ზოგჯერ კანონზომიერი (ჭაობნის მჭობნს ქვეყნად აბა რა დალევს), ზოგჯერ კი გაუმართლებელი, გულდასაწყვეტი...

ერთ-ერთი პირველი, ვინც 1973 წელს ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი, მოჭიდავე რამაზ ხარშილაძე გახლდათ. სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატზე მან უველა მეტოქე დაჯაბნა და პირველ საშუალო წონაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. გავიდა რამდენიმე დღე და ძალოსანმა დიტო შანთაძემ გაახარა გულშემატკივრები, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. საერთოდ კი 36 წლის ვეტერანმა შესანიშნავად იასპარეზა მთელი წლის განმავლობაში — საბჭოთა კავშირის პირველობაზე მოპოვებულ ოქროს მადრიდში ევროპის პირველობაზე მოპოვებული ოქროც დაუმატა... მაგრამ უველაზე მთავარი შემდეგ მოხდა. თავისი სპორტული კარიერის მანძილზე დიტო შანთაძე პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ჰავანაში (მსოფლიო პირველობა თავისუფლების კუნძულზე ჩატარდა) დიტო ახალგაზრდული შემართებით იბრძოდა და ბრწყინვალე გამარჯვებაც მოიპოვა...

დიდებულია! — ამ სიტყვით შეიძლება შეფასდეს ქართველ ფალავანთა წლევანდელი მიღწევები. ლევან თედიაშვილმა მსოფლიოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა თავისუფალ ჭიდაობაში და... სამბოში. ხოლო გენადი გიორგაძე ის სპორტსმენი გახლავთ, რომელიც სამბისტთა პირველ მსოფლიო პირველობაზე პირველი ავიდა გამარჯვების უმაღლეს კვარცხლბეკზე. სასახელოდ იასპარეზეს საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა იაპონიაში გამართულ ტურნეს დროს. ძიუდოისტთა ევროპის პირველობაზე შენგელი ფიცხელაური და შოთა ჩოჩიშვილი მეორე ადგილზე გამოვიდნენ; წარმატებას მიაღწია ჯიბილო ნოჟარაძემაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი ლოზანაში გამართულ მსოფლიო პირველობაზე იცავდა ჩვენი ქვეყნის ღირსებას. ამას წინათ კიდევ ერთხელ ისახელეს თავი ქართველმა ფალავნებმა: ჯერ იყო და საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვეს კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა, მერე ასეთივე წარმატება მოიპოვეს ძიუდოისტებმა. რაც შეეხება თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს, ისინი მეორე ადგილზე გამოვიდნენ.

მრავალ ასპარეზობებში ისახელეს თავი ალექსანდრე მეტრეველმა და თეიმურაზ კაკულიამ. ალექსანდრე უიმბლდონის ტურნირის ფინალში რომ გავიდა, ვფიქრობთ, დიდი მიღწევაა, თეიმურაზმა კი მოსკოვის უნივერსიადაზე სამი ოქროს მედალი მოიპოვა.

საქართველოს ორი წარმომადგენელი გახდა წელს მსოფლიო რეკორდის ავტორი. ჩვენმა ქალთევან ლოსაბერიძემ არა მარტო საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიპოვა, არამედ 70 მეტრზე მშვილდისრით სროლაში მსოფლიო რეკორდიც დაამყარა, მსოფლიო რეკორდით მოიპოვა ევროპის ჩემპიონის სახელი სტენდზე სროლაში ტარიელ ქუენტმა, შემდეგ კი შესანიშნავი სპორტსმენი საბჭოთა გუნდთან სპორტსმენის მიღწევა იმდენად თავისებურია, რომ სპეციალისტთა აზრით მას გაუმჯობესებას ძნელად თუ ვინმე შესძლებს. მართალია, ომარისაგან მადრიდში გამართულ მსოფლიო პირველობაზეც წარმატებას ვეღლდით, მაგრამ ხელი მოეცარა და უმედლოდ დარჩა. უნიკალური ჭადრაკის სასახლე, რომელიც წელს აშენდა თბილისში, მრავალ საინტერესო შეჯიბრებას მასპინძლობდა. ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე პირველობა ნონა გაფრინდაშვილმა მოიპოვა, მეორე და მესამე ადგილები ნანა ალექსანდრიამ და ნონა გონაპლიშვილმა გაიყვეს.

კარგ შედეგს მიაღწია მოჭადრაკე რომან ჯინჯიხაშვილმაც. იგი გამარჯვებული გამოვიდა საბჭოთა კავშირის მეორე ლიგის მოჭადრაკეთა შორის და მომავალი წლიდან უძლიერესთა შორის იასპარეზებს.

საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა გუნდების შეხვედრაში თავი გამოიჩინა 12 წლის მაია ჩიბურდანიძემ. იგი ოთხჯერ შეხვდა იუგოსლავიის ჩემპიონს ქალბრენერს და ოთხივეჯერ გაიმარჯვა. ბორისლავ ივკოვმა ქართველ გოგონას „ქალთა ფიშერი“ უწოდა. მაია ნონასთან ერთად მონაწილეობს საბჭოთა კავშირის პირველობაში, რომელიც თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს.

საბჭოთა ალპინიზმს 50 წელი შეუსრულდა. ეს ზეიმი საქართველოში გაიმართა, რადგან შთამსვლელობას აქვანი ჩვენს მიწაზე დაირწა. ვმასპინძლობდით ალპინისტურ ასოციაციათა საერთაშორისო კავშირის გენერალურ ასამბლეას, რომელიც პირველად გაიმართა საბჭოთა კავშირში. საიუბილეო წელიწადი ქართველმა მთამსვლელებმა ღირსეულად აღნიშნეს — მათ ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

სპორტული 1973 წელიწადი კიდევ უფრო დასამახსოვრებელი და ყველასათვის გასახარი იქნებოდა, საქართველოს ფეხბურთის გუნდს თბილისის „დინამოს“ უკეთ რომ ეთამაშნა. „დინამოსგან“ ჩვენ მხოლოდ გამარჯვებებს როდი მოვითხოვთ. დაუმარცხებელი გუნდი ამ ქვეყნად არ არსებობს, მაგრამ წაგებაც არის და წაგებაც. ვინც თბილისელთა მიერ ლონდონში გამართულ უკანასკნელ მატჩს უყურა, დაგვეთანხმება — ქართველი ფეხბურთელები ესოდენ ადვილად არ უნდა მარცხდებოდნენ. საქართველოში ფეხბურთს უველაზე მეტი გულშემატკივარი რომ ჰყავს, ეს სადავოდ არავის მიაჩნია, და რაკი ესეთი სიყვარულია, მათაც, ვისაც ქართული ფეხბურთის ღირსების დაცვა ებარია, სიყვარულზე სიყვარულითვე უნდა გვიპასუხონ და გაგვახარონ კარგი თამაშით.

აი, როგორია ზოგადად სპორტული 1973 წელიწადი. რა თქმა უნდა, წარმატებები ციდან არ ცვივა. იგი იმ ყოველდღიური ზრუნვის შედეგია, რასაც სპორტისადმი იჩენენ ჩვენში. დიდი ხანია საქართველომ სპორტული რესპუბლიკის სახელი დაიმკვიდრა. მან თითხმეტჯერ მოიპოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა!

დღეისათვის სპორტის მოყვარულთა განკარგულებაშია 100-ზე მეტი სტადიონი, 900 სპორტული დარბაზი, რამდენიმე ათეული საცურაო აუზი, ნაჩოხნობის 15 სადგური, ათასობით სხვადასხვა სახის სპორტული მოედანი. ქართველი ჰაბუკების აღზრდას იმ-სახურება ასობით გამოცდილი მწვრთნელი...

სპორტული 1973 წელიწადის მომხიბლვა გვინდა დავიმთაროთ სურვილით — კვლავაც მრავლად მოგვიპოვებინოთ ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო, ჩვენო ჰაბუკებო და ქალიშვილებო!



ՀԱՅԿԱԿԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՄՇԱԿՈՒՅԹԻ ՕՐԳԱՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՄՇԱԿՈՒՅԹԻ ՕՐԳԱՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՄՇԱԿՈՒՅԹԻ ՕՐԳԱՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՄՇԱԿՈՒՅԹԻ ՕՐԳԱՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՄՇԱԿՈՒՅԹԻ ՕՐԳԱՆ

**ՀՀ ՄՇԱԿՈՒՅԹԻ ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ